ამგვარად, ჩვენს მიერ შესწავლილი ბერძნული გრეიპფრუტის ნაყოფი ხასიათდება კარგი ორგანოლექტიკური თვისებებით და მშრალი ნივთიერების, შაქრებისა და C ვიტამინის მაღალი შემცველობით.

დასკვნა. 1. შესწავლილია საბერძნეთიდან შემოტანილი გრეიპფრუტის ნაყოფების ორგანოლექტიკური მახვენებლები და ქიმიური შედგენილობა. ნაყოფი ხასიათდებოდა კარგი სასაქონლო თვისებებით.

2. დადგენილია, რომ ნაყოფში C ვიტამინის შემცველობა 45 მგ% შეადგენდა.

#### ლიტერატურა

1. გ. ჩხაიძე სუბტროპიკული კულტურები. თბ. 1996. 531გვ.
2. Кекенадзе Н.А., Джанакашвили Н.И., Фишман Г.Н. Эфирное масло плодов грейпфрута Citrus Paradise, произрастающих в Грузинской ССР. Хим. природн. соед. 1985. №1.
3. Соколов С. Я., Замотаев И.П. Справочник по лекарственным растениям (фитотерапия). 3-е изд. Стереотипное. М.Ж Медицина. 1990. 464с.
4. Химический состав пищевых продуктов под ред. А.А.Покровского. М. 1977. 228с.
5. Химический состав пищевых продуктов. Справочные таблицы содержания аминокислот, жирных кислот, витаминов, макро- и микроэлементов, органических кислот и углеводов под ред. И.М. Скурихина и М.Н.Волгарева. М. т.2. 1987. 360с.
6. Методические указания по химико-технологическому сортоиспытанию овощей. плодов и ягод для консервной промышленности. М. 1977. 198 с.

### THE RESULTS OF INVESTIGATION OF GRAPE-FRUIT CHEMICAL CONTENTS

**Kaishauri G.**

Georgian Technical University

Summary

This work represents the results of the research of chemical contents of the Grape-fruits, grown in Greace. The organoleptical indices and chemical contents show that this fruit is characterized by good commodity. It is established that fruit contains a considerable quantity (45 mg%) of vitamin C.

### მანდარინის კონცენტრატი – ნატურალური ჯანსაღი კვების პროდუქტი

კალანდია ა., არძენაძე მ., ჩიქოვანი დ., ქამადაძე ე.  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესწავლილია, მანდარინის კონცენტრატის ნატურალულობისა და მისი სარგებლიანობის დამადასტურებელი ქიმიური კომპონენტების შემცველობა. დადგენილია, რომ წარმოებულ კონცენტრატის შაქარმჟავა ინდექსი 12-ზე მეტია, ნახშირწყლებიდან დომინირებს საქაროზა, ხოლო ორგანული მჟავებიდან ლიმონის და L-ასკორბინის მჟავები. დასაბუთებულია ქ. ქობულეთში კომპანია





*Georgian Industrial Asset Management Group-ის მიერ 2012-14წწ. გადამუშავებული მანდარინის კონცენტრატის ნატურალობა ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლით.*

მანდარინის ნაყოფს ახასიათებს მაღალი კვებითი და პროფილაქტიკური თვისებები, ადამიანის ორგანიზმს ამარაგებს აუცილებელი ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით. საქართველოში ციტრუსის მოსავლის ძირითადი ნაწილი მანდარინზე მოდის. მანდარინის მოსავლის მიღება ძირითადად ყოველგვარი ქიმიკატებისა და მავნე პესტიციდების დამატების გარეშე ხდება. ხშირად პლანტაციები ხანდაზმულია და ცუდი აგროტექნოლოგიური პრაქტიკაა, რაც მოსავალში დიდი რაოდენობით არასტანდარტული ნაყოფის მიღების უპირველესი მიზეზია. ასეთი ნაყოფი ნედლად არ იყიდება და საჭიროა გადამუშავება კონცენტრატად. პროცესი ნაწილობრივ თერმულია, ამიტომ აუცილებელია პროდუქტის მიღების პროცესის დროს მკაცრი ქიმიური კონტროლი. მანდარინის კონცენტრირებული წვენი მზადდება ნატურალური წვენისაგან, რომელიც მიიღება მანდარინის ნაყოფის მექანიკური დაწნევით, ვაკუუმ კონცენტრირებით, პასტირიზაციით და დაფასობით ასეპტიკურ პირობებში.

მიუხედავად მრავალი კვლევისა, სტანდარტის მოთხოვნით ციტრუსოვანთა წვენების მხოლოდ ორი მაჩვენებლის (ხსნადი მშრალი ნივთიერება და ტიტრული მჟავიანობა) შემოწმება ხდება, რაც არ არის საკმარისი წვენების ნატურალობის და სარგებლიანობის დასადგენად (1).

სამუშაოს მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა ქ. ქობულეთში კომპანია Georgian Industrial Asset Management Group-ის მიერ 2012-14 წ წ გადამუშავებული მანდარინის კონცენტრატის ზოგიერთი ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც მნიშვნელოვანია ციტრუსოვანთა წვენების ხარისხის შეფასებისას და მნიშვნელოვანია წვენის ნატურალობის დასადგენად.

მანდარინის კონცენტრატის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლის კვლევა მოხდა აშშ-სა და ევროპაში გამოყენებული ლაბორატორიული კვლევების მეთოდოლოგიის შედეგების მიხედვით(2).

მანდარინის კონცენტრატი წარმოადგენს შესქელებულ, ბლანტ, ყვითელი ფერის არაგამჭვირვალე სითხეს, მკვეთრად გამოხატული ციტრუსის გემოთი და არომატით. პროდუქტის ხარისხის დადგენისათვის დიდი ყურადღება ექცევა მშრალი ნივთიერების (რეფრაქტომეტრზე- HI 96801 Refractometer 0-85%Brix) და ტიტრული მჟავიანობის (პოტენციომეტრულ მეთოდს METTLER TOLEDO-ს PH-მეტრზე, გატიტრება ხდებოდა 0,1M NaOH-ის ხსნარით (PH-8,1)-ზე) განსაზღვრას. მშრალი ნივთიერების განსაზღვრის მიღებული შედეგის კორექტირება ხდებოდა როგორც ტემპერატურის, ასევე ტიტრული მჟავიანობის მაჩვენებლის გათვალისწინებით. ამ პარამეტრების სწორ განსაზღვრაზე დამოკიდებული შექარმჟავა ინდექსის რიცხობრივი მნიშვნელობა, რაც ციტრუსოვანთა წვენების ხარისხის ერთერთი ძირითადი მაჩვენებელია.

ნატურალობის დადგენისათვის მნიშვნელოვანი პარამეტრებია არა მარტო ტიტრული მჟავიანობა და მშრალი ნივთიერება, არამედ მჟავათა და ნახშირწყლების თვისობრივი და ცალკეული კომპონენტის რაოდენობრივი მაჩვენებელი. ორგანული მჟავების, მათ შორის ვიტამინი C-ს (ასკორბინის მჟავას) რაოდენობრივი და თვისობრივი შემცველობის დადგენა ხდებოდა მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირების მეთოდით (Waters-აშშ) (ცხრილი1).

მშრალი ნივთიერების შემცველობა რეფრაქტომეტრის მიხედვით არანაკლებ 58%-ია, ხოლო ტიტრული მჟავიანობა მაქსიმუმ 4,9 %-ია. შექარმჟავა ინდექსი ევროპული და აშშ მოთხოვნებით არ უნდა იყოს 12-ზე ნაკლები. იშვიათ შემთხვევაში ნოემბრის დასაწყისშია მაჩვენებელი ნაკლები, სხვა შემთხვევაში მაჩვენებელი უფრო მაღალია.





მანდარინის კონცენტრატის ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები

მაჩვენებლის დასახელება	მეთოდი	განზომილება	რაოდენობრივი შემცველობა
მშრალი ნივთიერება brix რეფრაქტომეტრის მიხედვით 20°C	რეფრაქტომეტრია	°brix	58, 5
კორექტირებული მჟავაზე	გაანგარიშებით	°brix	58,85
ტიტრული მჟავიანობა (pH 8,1)	პოტენციომეტრია	w/w%	4,90
შაქარმჟავა ინდექსი	გაანგარიშებით		12,01
pH	პოტენციომეტრია		3,8
<b>განზავებული წვენი:</b>	<b>°brix</b>		<b>11,8</b>
საქაროზა	მწსკ	მგ/გ	48,30
გლუკოზა	მწსკ	მგ/გ	18,25
ფრუქტოზა	მწსკ	მგ/გ	18,18
საერთო შაქრები	მწსკ	მგ/გ	84,70
მჟაუნმჟავა	მწსკ	მგ/გ	97±4
ღვინის მჟავა	მწსკ	მგ/გ	149±7
ვაშლია მჟავა	მწსკ	მგ/გ	894±25
ლიმონის მჟავა	მწსკ	მგ/გ	116±5
ვიტამინი C	მწსკ	მგ/გ	8772±51

მანდარინის კონცენტრატის კვებითი ღირებულება და გემოვნური თვისებები განპირობებულია ძირითადად შაქრების (გლუკოზა, ფრუქტოზა, საქაროზა) მაღალი შემცველობით, ასევე ორგანული მჟავების, ვიტამინების მაღალი კონცენტრაციით. ხარისხის და ნატურალობის დასადგენად ერთ-ერთ ძირითად პარამეტრს წარმოადგენს ვიტამინი C -ს შემცველობა. ასევე იზოლიმონმჟავას და ლიმონმჟავას თანაფარდობა. ორგანული მჟავებიდან გარდა ლიმონმჟავასა მანდარინის კონცენტრატიდან იდენტიფიცირებული იქნა ვაშლის, მჟაუნას და ღვინის მჟავა. მათი თანაფარდობა მანდარინის ნატურალური წვენის ექვივალენტურია. ნახშირწყლებიდან ღომინანტი საქაროზა, ფრუქტოზა და გლუკოზაა.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ქარხანაში წარმოებული მანდარინის კონცენტრატი უდავოდ წარმოადგენს ნატურალურ და სასარგებლო პროდუქტს.

**ლიტერატურა**

1. ნიჟარაძე ე. ფიშმანი გ. - მანდარინის წვენის ნატურალობის განსაზღვრა - ჟურნალი „სუბტროპიკული კულტურები“ 1988წ. №1, გვ. 113-116
2. Laboratory Manual PROCEDURE FOR ANALYSIS OF CITRUS PRODUCTS Sixth Edition. Manual No. 054 R 10020.000-6 Copyright 2011 by John Bean Technologies Corporation, Inc 400 Fairway Avenue, Lakeland, FL 33801 USA

**MANDARIN CONCENTRATE - THE PRODUCT OF HEALTHY NUTRITION**

**Kalandia A., Ardzenadze M., Chikovani D., Kamadadze E.**

Batumi Shota Rustaveli State University

**Summary**

The maintenance of chemical components which prove naturalness of a mandarin concentrate is studied. It is proved that a sugar acid ratio is more than 12; from carbohydrates sucrose, and from organic acids lemon and L-ascorbic acid dominates. By physical and chemical indicators it is proved that a mandarin concentrate developed to the Kobuleti city, by company Georgian Industrial Asset Management Group in years 2012-2014 it's more natural and very useful.



## სოფლის მეურნეობის საკვები პროდუქტების ელემენტების დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები

კამკამიძე ნ., ჯიქია მ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სტატიაში განხილულია სოფლის მეურნეობის საკვები პროდუქტების ელემენტების დანაკარგების შემცირების ღონისძიებები, რომელიც გამოწვეულია ნიადაგიდან ეროზიული, ჩარეცხვითი და აქროლებითი პროცესების შედეგად.*

ინტენსიური მიწათმოქმედების პირობებში, საკვები ელემენტების დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა შედის ბუნებრივი რესურსების დაცვის გლობალურ პირობებში.

სოფლის მეურნეობაში საკვები ელემენტების დანაკარგების შემცირების ღონისძიებათა სისტემაში მთავარ როლს ასრულებს იმ იაფასიანი აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფენ ნიადაგიდან და სასუქებიდან ეროზიული, ჩარეცხვითი და აქროლბადი პროცესების შედეგად დანაკარგების შემცირებას.

ნიადაგდაცვითი და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებში შედის ნიადაგის რაციონალური ტექნოლოგიით მინიმალური და ნულოვანი დამუშავება, ნიადაგის ზედაპირზე მცენარეული ნარჩენების შენარჩუნებით, კონტურული და ზოლოვანი დამუშავება, დატერასება, ნიადაგდაცვითი კულტურების და ბალახების თესვა, სასუქების ოპტიმალური ნორმების, დოზების გამოყენება, შეტანის ვადებისა და ხერხების წესებისა დაცვა და სხვა.

დახრილ ნაკვეთებზე საკვები ელემენტების დანაკარგების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ნიადაგის დამუშავების ყველა სახე და სასოფლო სამეურნეო კულტურების თესვა ჩატარდეს დახრილობის გასწვრივ. ეს ღონისძიებები მთლიანად აგვაცილებს თავიდან ნიადაგის და საკვები ელემენტის დანაკარგებს 4-5°C დახრილობის ფერდობების ეროზირებულ და სუსტად ეროზირებულ ნიადაგებზე.

ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის საიმედო ხერხს წარმოადგენს დამულჩვა, რაც უფრო მეტი ნიადაგის ზედაპირი იქნება დაფარული მულჩით, მით უფრო მცირეა ნიადაგისა და საკვები ელემენტების დანაკარგები, კარგ შედეგს იძლევა მულჩად ნამჯისა და მიწისზედა ანარჩენების გამოყენება.

ნიადაგისა და სასუქში შემავალი საკვები ელემენტების დანაკარგების შემცირების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ზოლოვანი მიწათმოქმედების სისტემა, ის მოიცავს ნიადაგის დამცავი ეფექტის მქონე კულტურების – შვრიის, ხორბლის, ბალახებისა და სხვა ზოლების და ეროზია საშიში კულტურების შაქრის ჭარხლის, კარტოფილის და სხვა ზოლების მორიგეობას. ნიადაგის დამცავი კულტურების ზოლის სიგანის გადიდების შედეგად, ნიადაგის გადარეცხვა მნიშვნელოვნად მცირდება.

ფერდობებზე, სადაც დამულჩვა, მინიმალური დამუშავება, კონტურული და ზოლოვანი მიწათმოქმედება და სხვა ხერხები ვერ უზრუნველყოფენ ეროზიისაგან ნიადაგის საკმარის დაცვას, საჭიროა ჩატარდეს ფერდობების დატერასება, რომელიც მიმართული უნდა იყოს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გასაძლიერებლად და არა მათ შესაცვლელად.

ძირითადი საკვები ელემენტების ჩარეცხვითი, გადარეცხვითი და აქროლებითი დანაკარგების შესამცირებლად, დიდი მნიშვნელობა აქვს მინიმალური სასუქების რაციონალურ გამოყენებას და მათი დანაკარგების შემცირებას გადაზიდვის, შენახვის და შეტანის დროს.



აგროქიმიური სამსახურის წარმომადგენლებმა არა მარტო უნდა აღმოაჩინონ ქარხნიდან სასუქების გადაზიდვის და გამოყენების ტექნოლოგიის დარღვევები, არამედ სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ ის. ამისათვის უნდა განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები:

-სასუქების შესანახი საწყობისათვის ხელსაყრელი და ადვილად მისაწვდომი ადგილის შერჩევა.

-მაღალმექანიზებული სასაწყობო კომპლექსის შექმნა, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვა სასუქების მიღება- შენახვისას დანახარჯების შემცირება დაუშვებელია თოვლის საფარზე სასუქების და კირის შეტანა, რადგან თოვლის დნობის შედეგად წარმოქმნილი ჩამონადენებით დიდი რაოდენობით კალციუმი და საკვები ელემენტები გადაირეცხება.

დაუშვებელია შეტანილი აზოტიანი სასუქების ნიადაგში ჩაკეთების გარეშე დატოვება, ვინაიდან ამ შემთხვევაში შესაძლებელია აქროლებითი დანაკარგმა 30% გადააჭარბოს აღნიშნულიდან გამომდინარე ისინი უნდა ჩაკეთდნენ ოპტიმალურ სიღრმეზე. საკვები ელემენტების დანაკარგების შესამცირებლად ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას ორგანული და მინერალური სასუქების შეთანწყობილი გამოყენება წარმოადგენს.

კერძოდ, აზოტის მაღალი დოზების ნამჯასთან და სხვა ორგანულ ნარჩენებთან ერთად შეტანისას, მკვეთრად მცირდება აზოტის დანაკარგები გუმინიფიკაციის პროცესის დროს.

ამრიგად სტატიაში განხილულია ინტენსიური მიწათმოქმედების პირობებში, საკვები ელემენტების დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური ღონისძიებები და საშუალებები როგორცაა: ნიადაგის რაციონალური ტექნოლოგიით მინიმალური და ნულოვანი დამუშავება ნიადაგის ზედაპირზე მცენარეული ნარჩენების შენარჩუნებით, კონტურული და ზოლოვანი დამუშავება, დატერასება, ნიადაგდაცვითი კულტურების და ბალახების თესვა, სასუქების ოპტიმალური ნორმების, დოზების გამოყენება, შეტანის ვადების, ხერხების წესების დაცვა და სხვა.

**ლიტერატურა**

1. ერისთავი ვ. დანელია ა. ალასანია რ. გარემოს გაჭუჭყიანების წყაროები და მათი ლიკვიდაციის ტექნიკური ღონისძიებები. თბილისი. 1985. გვ. 223
2. ზარდალიშვილი ო. ურუშაძე თ. სასუქების გამოყენება და გარემო. თბილისი. 1992. გვ. 151
3. თხელიძე ა. სასუქების გამოყენების სისტემა: თბილისი. მწიგნობარი. 2009. გვ. 371.
4. მარშანია ი. აგროქიმია. განათლება. "თბილისი". 1991. გვ. 78

**ACTIVITIES AGAINST THE LOSSE OF FOOD PRODUCTS**

**Kamkamidze N., Jikia M.**

Akaki Tsereteli State University  
 Georgian Academy of Ecological Science

**Summary**

The article examines the activities against the losse of food products, which is used for soil erosion, the results. Increase the efficiency of mineral fertilizers in agriculture and the environment are considered intensive kimizatsiis environmental issues.

Set of products and environmental pollution, food items In order to avoid unproductive losses, nitrogenous fertilizer to be the norm to regulate the biological characteristics of the culture of the soil - climatic conditions, harvest levels, watering and product quality Mind.



## საკვები პროდუქტების უსაფრთხო წარმოება

კამკამიძე ნ., ჯიქია მ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სტატიაში განხილულია სოფლის მეურნეობის საკვები პროდუქტების უსაფრთხო წარმოება და გარემოზე სოფლის მეურნეობის ინტენსიური ქიმიზაციის ეკოლოგიური საკითხები. მინერალური სასუქების შესატანი ნორმის რეგულირება, კულტურის ბიოლოგიური თავისებურებების, ნიადაგურ-კლიმატური პირობების, მოსავლის დონის, გასარწყავებისა და პროდუქციის ხარისხის გათვალისწინებით.*

საზოგადოებას ჯერ კიდევ საკმარისად არ აქვს შეგნებული მიწათმოქმედების გადაჭარბებული ქიმიზაციის საშიშროება. მაღალპროდუქტიულ საგარეულებზე ზრუნვა, პირველ რიგში ბიოსფეროს გაუმჯობესებაზე ზრუნვაა. შხამქიმიკატების და სასუქების ხელახლებით გამოყენებამ შესამჩნევად შეამცირა ნიადაგის ნაყოფიერება, გააუარესა სასოფლო სამეურნეო კულტურათა თვისებები.

შხამქიმიკატების გამოყენება ცალკეულ კომპანიათა ხანმოკლე მოგებისა და ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე ხდება. სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია დღეს პროდუქციის მაღალი ხარისხისა და მისი უვნებლობის გარანტიას არ იძლევა.

თანამდროვე აგროქიმიის ერთ-ერთ ამოცანას მინერალური სასუქების ეფექტურობის გადიდება და გარემოზე სოფლის მეურნეობის ინტენსიური ქიმიზაციის ეკოლოგიური შემდგომ ქმედებების შესწავლას წარმოადგენს. სასუქების გამოყენების თვალსაზრისით, გარემოს დაცვის პრობლემამ თამანდროვე პირობებში განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა დასავლეთ საქართველოს უხვნეჭიან ზონებში და სარწყავი მიწათმოქმედების პირობებში, სადაც ქიმიზაციის განვითარების სწრაფი ტემპები შეთანწყობილია ნიადაგის წყლით გამორეცხვის რეჟიმთან, მეცხოველეობის ინტენსიურ განვითარებასთან და სასუქების შესანახი საწყობების არასაკმარის რაოდენობასთან. ამასთან, ზოგიერთ ზონაში მრავალი წლის განმავლობაში სასუქების ინტენსიური გამოყენებით, შეიქმნა აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის დადებითი საწყისი ბალანსი, რის გამოც მინერალური სასუქების ტემპები მნიშვნელოვნად ჭარბობენ მოსავლის საკვები ელემენტების გამოტანას. მიუხედავად ამისა, მომავალშიც სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების მთავარ საშუალებად კვლავ დარჩება მინერალური სასუქების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს მოსავლის 50% -იანი ნამატის მიღებას. ზოგიერთი მწვანე მასის მომცემ მცენარეში.

მინერალური სასუქების გამოყენებაზე უარის თქმა გამოიწვევს სურსათის წარმოების კატასტროფულ შემცირებას. აქედან გამომდინარე ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი სწორი გზა არის არა სასუქების გამოყენებაზე უარის თქმა, არამედ მინერალური სასუქების გამოყენების ტექნოლოგიის ძირეული გაუმჯობესება.

სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს აქვთ განსხვავებული მოთხოვნილება ძირითად საკვებ ელემენტებზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ვიცოდეთ თუ როგორი გამოტანა ახასითებთ მათ ერთი და იმავე მოსავლიანობის პირობებში (ცხრ.1).

რათა შემდგომში შევაფასოთ რამდენად სწორად შევიტანეთ სასუქი, მცენარის ბიოლოგიური თავისებურების, კლიმატურ-ნიადაგური პირობების და მოსავლის დონის გათვალისწინებით, რათა საჭიროების შემთხვევაში განვახორციელოთ სათანადო კორექტივები.

ცხრილიდან ჩანს, რომ ერთწლიანი კულტურებიდან საკვებ ელემენტებზე ყველაზე მაღალი მოთხოვნილებით და მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევიან 1 ჯგუფის კულტურები- შაქრის ჭარხალი, საკვები ჭარხალი და კარტოფილის უხცოური ჯიშები, 455-535 კგ NPK



სხვადასხვა ერთწლიანი კულტურების ბიოლოგიური მოთხოვნილება ძირითად საკვებ ელემენტებზე

№	კულტურების დასახელება	ძირითადი პროდუქცია		საკვებ ელემენტებზე მოთხოვნილება			
				N	P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	K <sub>2</sub> O	ჯამი
I	შაქრის ჭარხალი	ძირხვევნა	500	195	65	275	535
	საკვები ჭარხალი		500	165	55	235	455
	კარტოფილი უცხ.ჯიშები	ტუბერი	500	160	55	245	460
II	ხორბალი	მარცვალი	50	175	60	145	380
	ქერი	მარცვალი	50	150	55	135	340
	სიმინდი	მარცვალი	50	170	60	160	390
	კარტოფილის ადგ. ჯიშები	ტუბერი	350	110	37	165	312
	კომბოსტო	თავი	500	120	42	163	325
	სუფრის ჭარხალი	ძირხვევნა	400	128	48	172	376
	მზესუმზირა	თესლი	20	110	48	250	408
III	პამიდორი	ნაყოფი	400	75	26	120	221
	ხახვი	ბოლქვი	400	90	50	120	260
	სტაფილო	ძირხვევნა	400	96	36	130	262
IV	კიტრი	ნაყოფი	300	54	21	85	160
	საზამთრო და ნესვი	ნაყოფი	300	60	19	75	154
	სალათა	მწვანე მასა	300	49	14	90	153

გამოაქვთ1 ჰა-დან. ხოლო 2 ჯუფის კულტურებს ხორბალი,ქერი, სიმინდი,კომბოსტო,სუფრის ჭარხალი გამოაქვთ 380-406კგ NPK.

საკვები ელემენტების ნორმების გაანგარიშება უნდა მოხდეს ზემოსხენებული კულტურების მოსავლის დონის,საკვებ ელემენტებზე მოთხოვნილების და ნაიდაგის ნაყოფიერების გათვალისწინებით. თუ ამ სამი ძირითადი ფაქტორიდან რომელიმე გამოირიცხა,მაშინ გაანგარიშებული ნორმა არ იქნება სწორი.

აქედან გამომდინარე,ამ პრობლემის გადაწყვეტის სწორი გზა არის არა სასუქების გამოყენებაზე უარის თქმა ,არამედ მინერალური სასუქების გამოყენების ტექნოლოგის ძირეული გაუმჯობესება..

ამრიგად სტატიაში განხილულია შხამკეიმიკატების და სასუქების ხელაღებით გამოყენების შედეგად მიღებული პრობლემების გადაჭრის საშუალებები: მინერალური სასუქების გამოყენების ტექნოლოგის ძირეული გაუმჯობესება, მცენარის ბიოლოგიური თავისებურების კლომატურ-ნიადაგური პირობების და მოსავლის დონის გათვალისწინებით სასუქების შეტანა.

#### ლიტარატურა

1. ზარდალიშვილი ო. ურუშაძე თ. სასუქების გამოყენება და გარემო. თბილისი. 1992. გვ.151
2. თხელიძე ა. სასუქების გამოყენების სისტემა.: თბილისი”. მწიგნობარი. 2009. გვ.371.
3. მარშანიია.აგროქიმიკატებისგანათლება”თბილისი” 1991გვ.78
4. Баранников В.Д., Кириллов Н. К. Экологическая безопасность сельскохозяйственной продукции. М., Колос. 2005. с. 351.





**SAFE FOOD PRODUCTION**

**Kamkamidze N. Jikia M.**

Akaki Tsereteli State University

Summary

Increase the efficiency of mineral fertilizers in agriculture and the environment are considered intensive kimi-zatsiis environmental issues.

Set of products and environmental pollution, food items In order to avoid unproductive losses, nitrogenous fer-tilizer to be the norm to regulate the biological characteristics of the culture of the soil - climatic conditions, harvest levels, watering and product quality Mind.

**ჩაის პროდუქციის სახე - ლიქიორის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა**

**კახნიაშვილი ე.**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტი

*ეკოლოგიურად უსაფრთხო, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გამდიდრებული კვების პროდუქტების წარმოება მეტად მნიშვნელოვანია ადამიანის უსაფრთხოების მხრივ. პროდუქტებში მცენარეული ნედლეულის ჩართვა ზრდის მათ ხარისხობრივ მახვევებებს, ამასთან, პროდუქციის ასორტიმენტს, რაც თავის მხრივ იძლევა საწარმოო მოგებას. კვების პროდუქტებიდან, კერძოდ, ალკოჰოლური სასმელებიდან შერჩეულია სადესერტო ლიქიორი, რომლის წარმოებაში ჩართულია მცენარეული ნედლეული - წყავი, ჩაი.*

ალკოჰოლური სასმელები ხასიათდებიან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ფართო სპექტრით, შეიცავენ ორგანიზმისათვის აუცილებელ ნაერთებს - ვიტამინებს, მაკროელემენტებს, ფენოლურ ნივთიერებებს, ამინომჟავებს, ორგანულ მჟავებს, ეთერზეთებს და სხვა. ამდენად, ისინი მიეკუთვნებიან ეკოლოგიურად უსაფრთხო, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გამდიდრებული კვების პროდუქტებს, რომლებიც ავსებენ ადამიანის რაციონს დაბალი კალორიულობის აუცილებელი ნივთიერებებით.

ალკოჰოლური სასმელების ჯგუფებიდან არჩევანი გაკეთებული იქნა სადესერტო ლიქიორზე, რომელიც მზადდება მცენარეული ნედლეულის - ხილკენკროვანთა გადამუშავებით მიღებული ნახევარფაბრიკატის დასპირტული წველების, მორსების, ნაყენების და არომატიზირებული სპირტებისგან. გარდა რექტიფიცირებული სპირტისა და წყლისა, შეიცავს შაქარს, ლიმონმჟავას, ეთერზეთებს, ნატურალურ და სინთეზურ საღებავებს, სადესერტო ლიქიორი ნაკლებ სპირტს შეცავს, ვიდრე მაგარი ლიქიორი, მხოლოდ შაქარს იმავე რაოდენობით.

დღეისათვის სადესერტო ლიქიორის ექსპორტი მნიშვნელოვან სავალუტო ხარჯებთანაა დაკავშირებული, სამამულო ბაზარზე შემოტანილი იმპორტული პროდუქტი უმეტესწილად დამზადებულია სინთეტიკური წარმოშობის ესენციებზე, ემულგატორებზე, საღებავებზე და კონსერვანტებზე, რაც არ გამორიცხავს ორგანიზმზე მავნე გვერდით მოქმედებებს.

ამიტომ, აუცილებელია აღნიშნული პროდუქტის გამდიდრება - მის რეცეპტურულ შემადგენლობაში ფიზიოლოგიური მოქმედების ფართო სპექტრის საკვებ-სამკურნალო მცენარეული კომპონენტების გამოყენება, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება მზა პროდუქციის სამომხმარებლო და საკვებ-სამკურნალო თვისებებზე.

საკითხის მეცნიერული სიახლიდან გამომდინარე, ჩავატარეთ ექსპერიმენტები სა-



დესერტო ლიქიორის მიღებაზე ჩაისა და წყავის გამოყენებით.

წყავი, როგორც სრულფასოვანი ნედლეული, მდიდარია მაღალი ბიოლოგიური აქტივობის ფლავონოიდური ნივთიერებებით, კატეხინებით, ლეიკოანტოციანიდებით და ფლავონოიდების კომპლექსით.

წყავი სადესერტო ლიქიორის წარმოებაში შეიძლება ჩავრთოთ მშრალი (გამომშრალი ლაბორატორიულ საშრობში  $120 \pm 2^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე) ან ნედლი ნაყოფის, ასევე, ყვავილების სახითაც. რეცეპტურაში გამამდიდრებლად და არომატმატარებელი კომპონენტების სახით დამატებით ჩართულ იქნა მიხაკი, დარიჩინი და მწვანე ჩაი.

მომზადებულ იქნა ნიმუშები კომპონენტური შემადგენლობის სხვადასხვა ვარიანტებით, რომელთაგან შერჩეული იქნა შემდეგი რეცეპტურული შემადგენლობა: მიხაკი - 400მგ, დარიჩინი - 800მგ, წყავის ნაყოფი გამშრალი - 70მგ, ან ნედლი - 350მგ, წყავის ყვავილები - 200მგ, ჩაის ფოთოლი გამშრალი - 10გრ, ლიმონმჟავა - 6გრ, შაქარი 3500გრ, რექტიფიცირებული ეთილის სპირტი და დარბილებული სასმელი წყალი - 10-10ლ 30% (მოც) სიმაგრის კუპაჟის მიღების ანგარიშით, საერთო ბალური შეფასება - 10,0.

სადესერტო ლიქიორის დამზადების ტექნოლოგიური სქემა მოიცავს რამდენიმე სტადიას:

წარმოებს ნედლეულის მორსის მიღება ორჯერადი დაყოვნებით 45-50%-იანი წყალ-სპირტული ნაყენის დასხმით დახარისხებულ და გარეცხილ ნედლეულზე. დაყოვნების მიზანია გამსხნელის მეშვეობით ნედლეულიდან შაქრების, ორგანული მჟავების და სხვა ნივთიერებების გამოწვლილვა დიფუზიის საფუძველზე ხსნარში გახსნილი ნივთიერების კონცენტრაციის გათანაბრებით. მიღებული ორივე გადმოსხმის მორსი შევაერთეთ, ამასთან პირველი გადმოსხმის მორსში ექსტრაქტის შემცველობა მეტია, ვიდრე მეორე გადმოსხმის მორსში და შეადგენს მთლიანი ექსტრაქტის 50-65%-ს. შედარებით მეტი სიმაგრის მორსი მიიღება გამომშრალი წყავის ნაყოფების გამოყენებისას, ამასთან შენახვის ვადა ახალი ნედლეულიდან დამზადებული მორსებისათვის შეადგენს 12 თვეს, ხოლო გამომშრალისათვის - 6 თვეს.

დავამზადეთ არომატული ნაყენი (მიხაკი, დარიჩინისა და წყალ-სპირტული ხსნარის გამოყენებით), შაქრის სიროფი, ჩაის ნაყენი.

მომზადებული ინგრედიენტების კუპაჟი, რომლის დროსაც აღნიშნულ მასალებთან ერთად კუპაჟში დაემატა რექტიფიცირებული სპირტი და დარბილებული წყალი. კუპაჟირების ინგრედიენტების შერევა თანდათანობით ხდება. ჯერ ერთმანეთს ერევა დასპირტული წვენი, შემდეგ რექტიფიცირებული სპირტი (კუპაჟის 30%-ის ოდენობით) და კარგად არევის შემდეგ შაქრის სიროფი, წინასწარ გახსნილი ლიმონმჟავა 6გრ-ის ოდენობით და დარჩენილი წყალი. კუპაჟის დამზადება გრძელდება 3 საათის განმავლობაში, პერიოდული მორევით, ყოველ 15-20 წუთის განმავლობაში.

წარმოებს ნარევის დაყოვნება დაწდომისა და გაფილტვრის მიზნით, შემდგომი ჩამოსხმა და პროდუქციის გაფორმებით, რის შემდეგ მიეწოდება საწყობს შესანახად.

მიღებულ სადესერტო ლიქიორში განისაზღვრა ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები, რომლებიც მოცემულია ცხრილში 1.

მიღებული ლაბორატორიული შედეგების საფუძველზე შემუშავებულ იქნა სადესერტო ლიქიორის (სახელწოდებით „ინტიმი“) დამზადების ტექნოლოგიის ინსტრუქცია.

მიღებული სამეცნიერო-კვლევითი შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის საბაზისო მაჩვენებლებად ავიღეთ საბაზრო მონაცემები, ხოლო საანგარიშო ერთეულად - 1ტ. პროდუქტისათვის. საწარმოო საკაკულაციო მაჩვენებლებად განიხილებოდა:

1. ნედლეული და ძირითადი მასალები;



2. ხელფასი;
3. მატერიალური და ენერგეტიკული რესურსები;
4. საამქრო ხარჯები;
5. სხვადასხვა ხარჯები.

ცხრილი 1.

სადესერტო ლიქიორის ხარისხობრივი მაჩვენებლები

მაჩვენებლები								
ანალიტიკური					ორგანოლექტიკური			
სიმაგრე (მოც)	საერთო მქსტრაქტი	შაქარი საქაროზაზე გადაანგარიშებით გ/100მლ	მუავიანობა ლიმონჯავაზე გადაანგარიშებით გ/100მლ	ფერიანობა ეტალონის მიხედვით მმ	ფერი	გემო	არომატი	საერთო ბალური შეფასება
28,0	32,0	30,0	0,6	50,0	ღიადან მუქწითლამდე, კრიალა, გამჭვირვალე 2,0	მომწკარტო, სასიამოვნო, საესე 4,0	ყვავილოვანი, ნუშის 4,0	10,0

ეკონომიკური ეფექტიანობის დასადგენად გაკეთდა მატერიალური ბალანსი პროდუქტის 1 ტონაზე. (ცხრილი 2.)

ცხრილი 2.

სადესერტო ლიქიორის მატერიალური ბალანსი

№	სადესერტო ლიქიორი	განზომილების ერთეული	ხარჯის ნორმა, კგ	ხარჯვის ნორმა, კგ	ფასი, ლარი
1.	ჩაი I ხარისხის	კგ	1,0	1,56	1-56
2.	წყავი ნაყოფი ნედლი	კგ	35,0	0,50	17-50
3.	წყავის ყვავილები გამშრალი	კგ	1,0	3,00	3-00
4.	შაქარი	კგ	280,0	0,80	224-00
5.	არომატიზატორები (მიხაკი, დარიხინი)	კგ	0,08	40,00	3-20
6.	ლიმონმჟავა	კგ	0,6	4,00	2-40
7.	რექტიფიცირებული ეთილის სპირტი უმაღლესი გაწმენდის (96,2%)	ლ	280,0	2,50	700-00
	სულ				951-66

საფაბრიკო თვითღირებულებების ელემენტების (ხელფასის ფონდი, დამხმარე მასალების ღირებულება, ძირითადი ფონდების ამორტიზაცია, მიმდინარე რემონტი, ენერგორესურსების ღირებულება, ფაბრიკის სხვადასხვა ხარჯები) გათვალისწინებით 1გ. სადესერტო ლიქიორისათვის საკალკულაციო უწყისის შემდეგი სახე აქვს. (ცხრილი 3.)

სარეალიზაციო ფასი გამოყვანილია სადესერტო ლიქიორის დასაფასოებელ პროდუქტზე.

სადესერტო ლიქიორის ხარისხობრივი მაჩვენებლებით აღემატება არსებულ მსგავს შესაბამის პროდუქტებს. საშუალოდ ხარისხის გაუმჯობესებით მიღებული დამატებითი მოგება პროდუქტის ერთეულზე შეადგენს დაახლოებით 75 თეთრს 1ლ-ზე



ცხრილი 3.

საკალკულაციო უწყისი 1ბ. სადესერტო ლიქიორისათვის

პროდუქტი	საფაბრიკო ღირებულება	მოგება (15%)	სხვადასხვა სახის გადასახადი (30%)	სარეალიზაციო ფასი	1ლ პროდუქტის სარეალიზაციო ფასი
სადესერტო ლიქიორი	1169-16	175-37	403-36	1747-89	1-75

ამდენად, მიზანშეწონილი და რეკომენდირებულია სადესერტო ლიქიორის წარმოება მისი ეკონომიკური ეფექტიანობის და გაუმჯობესებული ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით.

**ლიტერატურა**

1. კახნიაშვილი ე. – წყავით გამდიდრებული შავი ბაიხის ჩაისა და ლიქიორის წარმოების ტექნოლოგიური პარამეტრები, დისერტაცია, ქუთაისი, 2004წ.105გვ.
2. ფერაძე გ., ბასილაძე ნ. – ლიქიორ-არაყის წარმოების ტექნოლოგია, თბილისი, “განათლება”, 1986წ. გვ. 124-154;
3. მელქაძე რ. – სადესერტო ლიქიორი “ინტიმი”, საქპატენტი, GEP 1602, 1994წ.
4. მჭედლიძე ვ. – დასავლეთ საქართველოში შერჩეული წყავის ფორმების ზოგიერთი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მასალები, თბილისი-ქობულეთი, 1989წ. გვ.11-12

**THE FACE OF TEA PRODUCT-THE ECONOMIC EFFECTIVENESS OF PRODUCING LIQUEUR**

**Kakhniashvili E.**

Akaki Tsereteli State University

**Summary**

There has been worked out the technological scheme of producing dessert liqueur. As a major raw material, there has been used majorly fruit of cherry-laurel and flowers, and tea as well.

There has been established technological parameters of dessert liqueur.

This received product is of very brilliant crystal, almost dark red, characterized for the fruit of cherry-laurel, almond fragrance liqueur.

There has been estimated the economic effectiveness of producing. There has been composed material balance, established the realize price of unit product.

**სასაქონლო ექსპერტიზა სურსათის უვნებლობის და ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოების აუცილებელი პირობა**

**კვანტიძე ვ., ღვინიაშვილი თ., აფხაძე ქ.**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. ქუთაისი

სტატიაში განხილულია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების არსებული მდგომარეობა, დასაბუთებულია მისი უზრუნველყოფის უმთავრესი პირობის - სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობა, რის შედეგადაც შესაძლებელია კვების მრეწველობისათვის აუცილებელი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, რაც თავისთავად გარანტიაა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი, უსაფრთხო და ჯანსაღი კვების პროდუქტების საწარმოებლად.

საქონლის ექსპერტიზა ეწოდება სპეციალისტის მიერ საქონლის ფუძემდებლური მახასიათებლების, აგრეთვე საქონელმომოქცევის პროცესში ამ მახასიათებლების ცვლი-



ლებების შეფასებას, რომლის მიზანია რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო და-  
 მოუკიდებელი, კომპეტენტური და საბოლოო დასკვნის გაცემა.

საქონლის ექსპერტიზა შეიძლება განვიხილოთ როგორც რამდენიმე ოპერაციების  
 ერთობლიობა:

- საქონლის ცალკეული სამომხმარებლო თვისებების ან მათი კომპლექსის შერჩევა;
- ამ თვისებების მნიშვნელობების განსაზღვრა;
- დადგენილ მოთხოვნებთან ამ მნიშვნელობების შესაბამისობის დამოწმება.

უდაო ფაქტია, რომ ექსპერტიზის არსებობა დემოკრატიულ სახელმწიფოებში მარ-  
 თლწესრიგისა და კანონიერების გამყარებას განაპირობებს. ექსპერტიზა, რომელიც ნიშ-  
 ნავს რაიმე საკითხის გამოკვლევას სპეციალური ცოდნის გამოყენებით (ლათინური  
 სიტყვა *expertus* - ნიშნავს გამოცდილს), ფართოდ გამოიყენება მეცნიერების, ტექნიკის,  
 სახალხო მეურნეობის, ხელოვნების და სხვა დარგებში. საქონლის ექსპერტიზა მიზნად  
 ისახავს საქონლის ხარისხის შეფასებას, რასაც ახორციელებს ექსპერტი ან ექსპერტთა  
 ჯგუფი, რომელიც იყენებს ექსპერტიზის მეცნიერების მიერ დამუშავებულ ხარისხის შე-  
 ფასების უნიფიცირებულ მეთოდებს და ორგანიზაციულ პრინციპებს, რომელიც მოცემუ-  
 ლია შესაბამის სტანდარტებსა და სხვა სახის ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტებში, მე-  
 თოდურ სახელმძღვანელოებსა და რეკომენდაციებსში. მოთხოვნები, რომელთაც უნდა  
 შეესაბამებოდეს საქონელი, დგინდება სტანდარტით, სხვა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუ-  
 მენტით, ან ექსპერტის მიერ (მაგალითად ახალი პროდუქციის შემუშავების დროს). ეს  
 მოთხოვნები შეიძლება მოცემული იყოს საქონლის შესახებ ინფორმაციაში, ანუ სასა-  
 ქონლო ინფორმაციაში. სასაქონლო ინფორმაციად მიჩნეულია საქონლის ეტიკეტზე, სა-  
 ქონლის თანმხლებ დოკუმენტაციაში, სასწავლო, სამეცნიერო, საცნობარო ლიტერატუ-  
 რაში და ა. შ. არსებული მონაცემები.

სასაქონლო ექსპერტიზის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მომხმარებელთა უფლებე-  
 ბის რეალიზაციის უზრუნველყოფა. მომხმარებელთა უფლებები ჩამოყალიბებული იქნა  
 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ანსაბლეს მიერ 1985 წელს „მომ-  
 ხმარებელთა უფლებები დაცვის სახელმძღვანელო პრინციპების” სახით. ეს პრინციპე-  
 ბია: უფლება საქონლის უსაფრთხოებაზე; უფლება იმისა, რომ მოუსმინონ; უფლება მი-  
 ყენებული ზარალის ანაზღაურებაზე.

სასურსათო საქონლის უსაფრთხოება ადამიანის ჯანმრთელობის და სიცოცხლის  
 კონსტიტუციური უფლების განხორციელების აუცილებელი პირობაა. საქართველოში  
 ჯერ-ჯერობით მოუწესრიგებელია ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში სა-  
 სურსათო პროდუქტების მოხმარებით გამოწვეული უბედურ შემთხვევათა სტატისტიკა.  
 უსაფრთხოება - სასურსათო პროდუქტების ფუნდამენტური მახასიათებელია. ამიტომ მი-  
 სი დადგენა სავალდებულო ნორმად არის მიჩნეული ყველა ქვეყნის სტანდარტების მი-  
 ხედვით, ყოველგვარი სასურსათო პროდუქტების ექსპერტიზის დროს.

უფლება ინფორმაციაზე განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ხორცი-  
 ელდება რეკლამის ან სპეციალური გადაცემების საშუალებით. საქონლის შესახებ ინ-  
 ფორმაცია აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მყიდველმა მიიღოს სწორი, ოპტიმა-  
 ლური გადაწყვეტილება. საქართველოში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ინფორმაციუ-  
 ლი სამომხმარებლო ბაზარი. საქონლის შესახებ სწორი ინფორმაციის შემუშავება შე-  
 საძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საქონლის ექსპერტიზის საფუძველზე.

უფლება საქონლის ამორჩევაზე ნიშნავს, რომ მომხმარებელს შეუძლია ყოველ-  
 გვარი ძალდატანების გარეშე, თავისი შეხედულებისამებრ შეიძინოს ესა თუ ის საქონე-





ლი. რას ნიშნავს მყიდველის შეხედულება, ვთქვათ ძეხვზე, ყველზე, კარაქზე და ა. შ. ეს ნიშნავს, რომ მყიდველმა იცის ძეხვის, კარაქის, ყველის და ა. შ. სამომხმარებლო თვისებები. ეს ცოდნა მას მიეწოდება სასაქონლო ექსპერტიზის განხორციელების საფუძველზე შექმნილი ინფორმაციით. ამ ცოდნის საფუძველზე მყიდველს საშუალება ეძლევა საკუთარი მოთხოვნილებების, გემოვნების და შესაძლებლობების მიხედვით შეარჩიოს სასურველი პროდუქტი. შერჩევის უფლების განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ ბაზარზე იყოს გარკვეული რაოდენობის საქონელი. დღეისათვის საქართველოს ბაზარი გაჯერებულია როგორც იმპორტული წარმოების, ასევე სამამულო წარმოების საქონელით, რის გამოც საქონლის ამორჩევის უფლების ადვილად განხორციელების ილუზია ექმნება არა მხოლოდ გაუცნობიერებელ მომხმარებელს, არამედ ზოგიერთ სპეციალისტსაც. სინამდვილეში, როგორც წესი ეს უფლება პრაქტიკულად არ ხორციელდება იმის გამო, რომ ვერ რეალიზდება მეორე პრინციპი - უფლება ინფორმაციაზე, რაც სასურსათო პროდუქტების სისტემატური სამომხმარებლო ექსპერტიზის არ არსებობის შედეგია. როდესაც მომხმარებელი იძენს ძეხვს, რომლის ქიმიური შედგენილობის და დამზადების ტექნოლოგიის, შენახვის პირობებისა და ვადების შესახებ მას არავითარი ინფორმაცია არ გააჩნია, იგი ყიდულობს მას არჩევანის გარეშე, ასე ვთქვათ „ბრმად“. ასეთი მყიდველი, როგორც წესი ძეხვის მოხმარების შემდეგაც ვერ არკვევს მის აკარგვიანობას. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ირღვევა, მისი როგორც მოხმარების უფლება.

უფლება იმისა, რომ მოუსმინონ, ნიშნავს მომხმარებლის ინტერესების დაცვას და წარმოადგენს საზოგადოების სამართლიანობის უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს. მომხმარებლის უფლების დაცვა უმეტეს შემთხვევაში გულისხმობს საქონელთან დაკავშირებული რაიმე დაცვის სამართლებრივ გადაწყვეტას, რაც ხშირ შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარების გარეშე ვერ განხორციელდება.

ზარალის ანაზღაურების უფლების რეალიზაციის სტატისტიკა საქართველოში არ არსებობს. არასრულყოფილი ნორმატიული ბაზის გამო სასამართლოში სარჩელის მოგება მოითხოვს მოტყუებული მყიდველისა და მისი ადვოკატის დიდ ძალისხმევას და დროს, ამიტომაც ხშირ შემთხვევაში ექსპერტიზის საბოლოო მიზანი განუხორციელებელი რჩება.

ასევე არ არსებობს გენმოდოფიცირებული კვების პროდუქტების შემოტანის და ქვეყნის შიგნით მისი წარმოების სტატისტიკა. გამომდინარე აქედან ნათელი გახდა, რომ გენური ინჟინერიის განვითარებამ, შესაძლებელია ერთდროულად მიგვიყვანოს, როგორც დადებით, ასევე ნეგატიურ შედეგამდე. აქედან გამომდინარე, არ იქნება მართებული მისი როგორც სრული უარყოფა, ასევე აბსოლუტური და საყოველთაო მხარდაჭერა.

ამრიგად სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფით ქვეყანაში მიიღწევა კვების მრეწველობისათვის აუცილებელი ნედლეულის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, რაც თავისთავად გარანტირებულს გახდის ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი და უსაფრთხო სურსათის წარმოებას.

#### ლიტერატურა

1. გ. კვესიტაძე, ე. კვესიტაძე. ბიოტექნოლოგია, თბილისი, 1999 წ. – 431 გვ.
2. თ. კერესელიძე. კვების პროდუქტების ექსპერტიზა, თბილისი, 2005 წ. – 184 გვ.
3. “ Кому выгодны ГМ культуры “. Журнал сельское хозяйство и пищевые культуры. Изд-во Международный секретариат Друзей земли. г. Амстердам, 2007 г. – 119 стр.



**COMMODITY EXPERTISE AS AN IMPORTANT CONDITION FOR ECOLOGICALLY PURE FOOD PRODUCTION AND FOOD SAFETY.**

**Kvantidze V., Gvinianidze K. Apkhadze**

Akaki Tsereteli State University

Summary

The paper deals with the food safety in the country, the necessity of commodity expertise, which is important for producing ecologically pure food and which is the guaranty of safe food production is clearly shown.

**სუნელ-სანელელებლის ზომიერთი ხარისხობრივი მაჩვენებლის  
 ქიმიურ-ექსპერტიზული შეფასება**

**კიკნაძე ნ., \*კიკნაძე მ.**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

\*ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯი (თბილისი)

*ჩატარებულია საქართველოს ბაზარზე არსებული სუნელ-სანელელების ხარისხობრივი მაჩვენებლების ქიმიურ-ექსპერტიზული კვლევა, საუკეთესო ხარისხის პროდუქტის გამოსავლენად. კვლევის ობიექტად შერჩეულია სამი სხვადასხვა დამამზადებლიდან მოწოდებული 4 სახეობის სუნელ-სანელელები: 1) წიწკა წითელი დაფქული დაფასობული (საქართველო, ინდოეთი, ბულგარეთი); 2) წიწკა შავი დაფქული დაფასობული (საქართველო, ბულგარეთი, სასომხეთი); 3) დაფნის მშრალი ფოთოლი დაუფასობელი (ხელვაჩაური, ოზურგეთი, ზუგდიდი); 4) ქინძის ხმელი თესლი დაუფასობელი (წალკა, მარნეული, ხელვაჩაური). აღგენილია: წითელ წიწკაში-ინდური პროდუქტის უპირატესობა ქართულ და ბულგარულ წიწკებთან შედარებით; შავ წიწკაში-ბულგარული წარმოების პროდუქტის უპირატესობა ქართულ და სომხურ წარმოებასთან შედარებით; დაფნის ფოთოლში-ზუგდიდის პროდუქტის უპირატესობა ხელვაჩაურის და ოზურგეთის პროდუქტთან შედარებით; ქინძის ხმელ თესლებში-წალკის პროდუქტის უპირატესობა მარნეულისა და ხელვაჩაურის პროდუქტთან შედარებით.*

სუნელ-სანელელებს ფართოდ იყენებენ მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც. თითქმის მთელ მსოფლიოში ცნობილია ქართული წესით შეზავებული სუნელ-სანელელების ნარევი სახელწოდებით “ხმელი სუნელი”. საქართველოში ფართოდ მოიხმარენ შემდეგი სახეობის სუნელ-სანელელებს: წითელი და შავი წიწკა, ქინძი, დაფნის ფოთოლი, ხმელი და უცხო სუნელი, ოხრახუში, ნიახური, კამა, პიტნა. დღეისათვის სუნელ-სანელელების უმსხვილეს მიმწოდებელს მსოფლიო ბაზარზე წარმოადგენს ინდოეთი. სუნელ-სანელელების სასწაულმოქმედი ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე განპირობებულია ეთერზეთებით, ვიტამინებით, ორგანული მჟავებით, ალკალოიდებით, პიგმენტებით, კაროტინოიდებით, შაქრებით, გლიკოზიდებით, რომლებიც აძლიერებენ საკვების შეთვისებას. სუნელ-სანელელების უმეტესობა სამკურნალო მცენარეებია, მათ გააჩნიათ ბაქტერიოციდული თვისებები, ისინი სპობენ ღვინის ბაქტერიებს, ორგანიზმიდან გამოჰყავთ შლაკები და თამაშობენ კატალიზატორის როლს ზოგიერთ ფერმენტულ პროცესში. მათ იყენებენ კულინარიაში, საკონსერვო, საკონდიტრო და სასმელების წარმოებაში [1].

ვითვალისწინებდით რა სუნელ-სანელელების მნიშვნელობას მოსახლეობის კვების საქმეში, ჩვენს მიზნად დავისახეთ ჩაგვეტარებინა სუნელ-სანელელების ორგანოლექტიკური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების ქიმიურ-ექსპერტიზული კვლევა, რათა მის საფუძველზე დაგვედგინა ამ პროდუქტების შესაბამისობა სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილ დასაშვებ ზღვრებთან და გამოგვევლინა საუკეთესო ხარისხის მქონე



პროდუქტი. საკითხის აქტუალობა განპირობებულია დღეისათვის საქართველოში შექმნილი მწვავე ვითარებით, როცა სასერტიფიკაციო ორგანოების ნებაყოფლობით საწყისეზზე ფუნქციონირების გამო, ვერ ხორციელდება სავალდებულო კონტროლი ადგილობრივ და იმპორტირებულ სასურსათო პროდუქციაზე. ამდენად, გაზრდილია უხარისხო, ფალსიფიცირებული და გენმოდისფიცირებული პროდუქტის მოხვედრა ბაზარზე, რაც აისახება ადამიანთა ჯანმრთელობაზე [2,3].

ჩვენს მიერ კვლევის ობიექტად შერჩეული იქნა საქართველოს შიდა ბაზარზე შემოტანილი 4 სახეობის სუნელ-სანელებელი: 1.წითელი წიწაკა (დაფქული, დაფასობებული); 2.შავი წიწაკა (დაფქული, დაფასობებული); 3.დაფნის ფოთოლი (მშრალი, დაუფასობებული); 4.ქინძი (ხმელი თესლი, დაუფასობებული). თითოეული სახეობის შიგნით, აღებული იქნა სამი სხვადასხვა დამამზადებლის პროდუქცია (სულ-12 ნიმუში).

ცხრილი 1

სუნელ-სანელებლების ორგანოლექტიკური მახვენებლები

№	მახასიათებლის დასახელება	წითელი წიწაკა დაფქული (ინდოეთი, საქართველო, ბულგარეთი)	წიწაკა შავი დაფქული (ბულგარეთი, სასომხეთი, საქართველო)	დაფნის ფოთოლი (მშრალი) (ხელვაჩაური, ოზურგეთი, ზუგდიდი)	ქინძის ხმელი თესლი (ხელვაჩაური, მარნეული, წალკა)
1.	გარეგნული სახე	წვრილად დაფქული	ფხვნილი-სებრი	ფოთლები ჯანმრთელი, დაავად. და მავნებლებ. დაუზიანებელი, მოგრძო ოვალური ფორმის.	თესლები ბურთისებრი
2.	ფერი	წითელი	მუქი რუხი	მწვანე, ნაცრისფერი ელფერით	მოყვითალო-ყავისფერი
3.	სუნი	კარგად გამოხატული, მოცემული სახეობისთვის დამახასიათებელი		ზუგდიდის დაფნის სუნი გაცილებით უკეთ გამოხატული, ვიდრე ხელვაჩაურის და ოზურგეთის	წალკის ქინძის სუნი-უკეთესი, ვიდრე ხელვაჩაურის და მარნეულის
უცხო სუნის გარეშე					
4.	გემო (ხიციარე)	ინდოეთის და საქართველოს - ძლიერ ცხარე, ბულგარეთის – საშუალო სიციხარის	ბულგარეთის ძლიერ ცხარე, საქართველოს და სასომხეთის საშუალო სიციხარის	ზუგდიდის დაფნის გემო-უკეთ გამოხატული, ვიდრე ოზურგეთის და ხელვაჩაურის.	წალკის ქინძის გემო – უფრო არომატული, ვიდრე მარნეულის და ხელვაჩაურის.

კვლევის შედეგების მიხედვით, გარეგნული სახით წითელი წიწაკა იყო წვრილად დაფქული, შავი წიწაკა კი-ფხვნილისებრი. საქართველოს სამივე რაიონიდან აღებული დაფნის ფოთლები იყო საღი, მავნებლებისაგან და დაავადებებისაგან დაუზიანებელი, მოგრძო ოვალური ფორმის. სამივე რაიონიდან აღებული ქინძის ნაყოფები იყო ბურთისებრი. წითელი წიწაკების ფერი იყო მათთვის დამახასიათებელი-წითელი, შავი წიწაკების-მუქი რუხი, დაფნის ფოთლის-მისთვის დამახასიათებელი მწვანე, ნაცრისფერი ელფერით. ქინძის ხმელი თესლების-მოყვითალო-ყავისფერი. საქართველოსა და ინდოეთიდან შემოტანილი წიწაკების გემო იყო ძლიერ ცხარე, დამახასიათებელი მოცემული სახეობისთვის, ბულგარეთიდან შემოტანილის-საშუალო ცხარე. არც ერთ ნიმუშში არ აღინიშნებოდა უცხო სუნი და გემონაკრავი. ბულგარეთიდან შემოტანილი შავი წიწაკის



გემო უფრო ცხარე იყო, ქართული და სასომხეთიდან (ერევანი) შემოტანილი წიწაკები-საგან განსხვავებით. შავი წიწაკის არც ერთ ნიმუშში არ აღინიშნებოდა უცხო სუნი და გემონაკრავი. ზუგდიდიდან შემოტანილ დაფნის ფოთოლს გააჩნდა უკეთ გამოხატული სუნი, ვიდრე ხელვაჩაურის და ოზურგეთის ნიმუშებს. წალკის ქინძს გააჩნდა გაცი-ლებით სასიამოვნო გემო და სუნი, ვიდრე ხელვაჩაურის და მარნეულის ქინძს. ქინძის არც ერთ ნიმუშში არ აღინიშნებოდა უცხო სუნი და გემონაკრავი [4,5,6].

მეტალომაგნიტური მინარევების განსაზღვრას ვაწარმოებლით სუნელ-სანელებლების ორ სახეობაში-წითელ და შავ დაფქულ წიწაკებში, რადგანაც სანიტარული წესები და ნორმები დაფნასა და ხმელ ქინძზე არ ითვალისწინებს აღნიშნული პარამეტრის განსაზღვრას[4,9]. მეტალომაგნიტური მინარევები არ აღმოჩნდა არც ერთ ზემოაღნიშნულ ნიმუშში.

მცენარეული მინარევების არსებობას ვიკლევდით ხმელი ქინძის ნიმუშებში, რადგანაც სანიტარული წესები და ნორმები არ ითვალისწინებს აღნიშნული პარამეტრის განსაზღვრას შავ, წითელ დაფქულ წიწაკებსა და დაფნის ფოთლებში [7,8,9]. მცენარეული მინარევების მინიმალური შემცველობით გამოირჩეოდა წალკიდან შემოტანილი ქინძის თესლები-0,13%, მას 1,77%-ით ჩამორჩებოდა მარნეულის ქინძი და 1,87%-ით-ხელვაჩაურის ქინძი (ცხრილი 2).

უცხო მინერალურ მინარევებს ვსაზღვრავდით წითელი და შავი დაფქული წიწაკების, ასევე ხმელი ქინძის ნიმუშებში, რადგანაც სანიტარული წესები და ნორმები არ ითვალისწინებს აღნიშნული პარამეტრის განსაზღვრას დაფნის მშრალ ფოთლებში [7]. წითელი და შავი დაფქული წიწაკების არც ერთ ნიმუშში არ აღმოჩნდა უცხო მინერალური მინარევები. ქინძის ნიმუშები პრაქტიკულად არ შეიცავდნენ უცხო მინერალურ მინარევებს (ცხრილი 3).

ცხრილი 2

მცენარეული წარმოშობის მინარევების განსაზღვრის შედეგები ქინძში (ხმელი თესლი)

№	სახეობის დასახელება, დამამზადებელი	მცენარეული მინარევები, განსაზღვრის შედეგები		დასაშვები ზღვარი, %
		გ	%	
1.	ქინძი (ხმელი თესლი). წალკა	0,01	0,13	არაუმეტეს 2,5
2.	ქინძი (ხმელი თესლი). მარნეული	0,28	1,90	
3.	ქინძი(ხმელი თესლი). ხელვაჩაური	2,00	2,00	

სუნელ-სანელებლების ნიმუშების ვიზუალური დათვალიერების შედეგად, არც ერთ მათგანში არ აღმოჩნდა მავნებლებით და ობით დაზიანებები, არ აღინიშნებოდა გარეგანი დეფექტები ხმელ ქინძსა და დაფნაში. სამივე რაიონიდან აღებული დაფნის ფოთლების სიგრძე იყო 3სმ-ზე მეტი. არც ერთ ნიმუშში არ აღმოჩნდა ყვითელი ფოთლები, 2-3-ფოთლიანი დაბოლოებები, მოჭრილი მომდევნო ფოთლის ძირში, არ იყო 3სმ-ზე გრძელი დამტვრეული ფოთლები და მავნებლებისაგან და მწერებისაგან დაზიანებული ფოთლები.

ცხრილი 3

უცხო მინერალური მინარევების განსაზღვრის შედეგები ქინძში (ხმელი თესლი)

№	სახეობის დასახელება, დამამზადებელი	უცხო მინერალური მინარევები, განსაზღვრის შედეგი		დასაშვები ზღვარი, %
		გ	%	
1.	ქინძი (ხმელი თესლი). წალკა	0,00075	0,0050	არაუმეტეს 0,5
2.	ქინძი (ხმელი თესლი). მარნეული	0,00105	0,0077	
3.	ქინძი (ხმელი თესლი).ხელვაჩაური	0,00127	0,0085	





ამრიგად, სუნელ-სანელებლების ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების კვლევის საფუძველზე, გამოვლინდა: წითელ წიწაკაში-ინდური წარმოების პროდუქტის უპირატესობა ქართული და ბულგარული წარმოების წიწაკებთან შედარებით; შავ წიწაკაში-ბულგარული წარმოების უპირატესობა ქართულ და სომხურ (ერევანი) წარმოებასთან შედარებით; დაფნის ფოთოლში-ზუგდიდის პროდუქტის უპირატესობა ხელვაჩაურის და ოზურგეთის პროდუქტთან შედარებით; ქინძის ხმელ თესლებში-წალკის პროდუქტის უპირატესობა მარნეულისა და ხელვაჩაურის პროდუქტთან შედარებით.

#### ლიტერატურა

1. Юрченко Л.А., Василькевич С.И. Пряности и специи. – Минск: Издательство «Полымя», 1989. С.3-13.
2. ცვლილებები საქართველოს კანონში „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“. 26 მარტი, 2010. პარლამენტი, კანონი №2851.
3. საქართველოს კანონი “სტანდარტიზაციის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №40, 18.07.2005.
4. ГОСТ 28875-90 (სუნელ-სანელებლები. მიღება და ანალიზის მეთოდები).
5. ГОСТ 29053-91 (წიწაკა წითელი დაფქული).
6. ГОСТ 29050-91 ( სუნელ-სანელებლები. წიწაკა შავი და თეთრი).
7. სანიტარული წესები და ნორმები (სანწლადი) 2.3.2. 000-00 პ.6.6.8.
8. ГОСТ 17594-81 (დაფნის ფოთოლი მშრალი).
9. ГОСТ 86-73 (სუნელ-სანელებლები. კორიანდრი).

#### CHEMICAL AND EXPERTIZE EVALUATION OF SOME QUALITATIVE INDICATORS OF SPICES

Kiknadze N., \*Kiknadze M.

Batumi Shota Rustaveli State University

\*Public College of quality management (Tbilisi)

#### Summary

In Georgian inner market there has been conducted chemical and expertise study and evaluation of qualitative indicators of spices in order to reveal the best product. For the experiment we have selected the most frequently used four types of spices provided by three different producers: 1 red pepper ground and packed (Georgia, India, Bulgaria); 2 black pepper ground and packed (Georgia, Bulgaria, Armenia); 3 dry packed laurel leaves (Khelvachauri, Ozurgeti, Zugdidi); 4 dry seed of coriander not packed (Tsalka, Marneuli, Khelvachauri). As a result of evaluating organoleptic and some physical and chemical and chemical and expertise indicators it has been ascertained: the advantage of Indian red pepper compared to Georgian and Bulgarian ones; The advantage of black pepper compared to Georgian and Armenian (Yerevan) ones; the advantage of dry laurel leaves from Zugdidi compared to the products of Khelvachauri and Ozurgeti; the advantage of dry seeds from Tsalka compared to the products from Marneuli and Tsalka.

#### სხვადასხვა ტიპის ყავის ორგანოლექტიკური მაჩვენებლების ქიმიური ანალიზი და მქსპერტიზა

კიკნაძე ნ., \*კიკნაძე მ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

\*ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯი (თბილისი)

ხარისხიანი ყავა ფასდება 7 ძირითადი ორგანოლექტიკური მაჩვენებლით: გემო, არომატი, ფერი გემონაკრავი, გემოს სისრულე, სიმწარე. ჩვენს მიერ საქსპერტო კვლევის ობიექტებად შერჩეული იქნა 3-3 სახეობა 3 სხვადასხვა ტიპის ყავაში: 1.ნატურალური მონალული მარცვლოვანი დაუფასოებელი; 2.ნატურალური მონალული დაფქული დაფასოებელი; 3.ნატურალური ხსნადი. ორგანოლექტიკური მაჩვენებლებიდან ყავაში განსაზღვრულია: გარეგნული სახე; სუნის; გემოს; ფერი; არომატი; მუქი და ღია ყავისფერი მარცვლების, ასევე დატეხილი მარცვლების მასური წი-





ლი. დადგენილია ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების შესაბამისობა აღნიშნულ პროდუქციაზე ტექნიკურ მოთხოვნებთან, გამოვლენილია თითოეული ტიპის ფარგლებში საუკეთესო სახეობა გემოვნური თვისებებით, კერძოდ: ნატურალურ მოხალულ მარცლოვან დაუფასოებელ ყავაში საუკეთესოა “იაკობს მონარქი”; ნატურალურ მოხალულ დაფქულ ყავაში-“ROYAL COFFEE BRASILIA”; ნატურალურ ხსნად ყავაში-“JACOBS MONARCH”.

კვების პროდუქტებიდან ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყავას, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში პოპულარული სასმელია. სურნელისა და გემოს ნაზავი ანიჭებს ყავის სმის პროცესს სასიამოვნო ხასიათს. ყავის მასტიმულირებელ და სამკურნალო თვისებებზე დღეს ბევრს საუბრობენ. არსებობს სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატი, რომლებიც დამზადებულია კოფეინის დამატებით. ყავა მდიდარია მაგნიუმით, იოდით, კალიუმით, კალციუმით, B და P ვიტამინებით. ყავის მარცვლები, პოლიფენოლის შემცველობის წყალობით, ამცირებენ გულსისხლძარღვების დაავადებათა რისკს[1]. ბაქტერიოციდური თვისებების გამო, ყავა ხელს უშლის კბილის კარიესის გამომწვევი მიკრობების გამრავლებას. ყავა თითქმის 2-ჯერ ამცირებს ღვიძლის კიბოს განვითარების ალბათობას, რაც სასმელში შემავალი ანტიოქსიდანტების დამსახურებაა. დაბალკალორიულობის წყალობით, დიაბეტით დაავადებულთათვის ყავის მირთმევა გაცილებით ეფექტურია ჩაისთან შედარებით. დღეში 2-3 ფინჯანი ყავის მიღება ნაღვლის ბუშტში კენჭების წარმოქმნის ალბათობას 30-40%-ით ამცირებს. ყავა ეფექტურად გამოიყენება ცელულიტების წინააღმდეგ საბრძოლველად [2,3].

საქართველო წარმოადგენს “Codex Alimentarium”-ის კომიის წევრ ქვეყანას, რომლის კომიტეტები შეიმუშავენ სურსათის სტანდარტების პროგრამას. ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულების ფარგლებში, საქართველოში შექმნილია სურსათის უვნებლობის სააგენტო, რომლის ფუნქციებში შედის კვების საწარმოთა პროდუქციის წარმოების სახელმწიფო პერიოდული გეგმიური კონტროლი [4]. 2015 წლიდან აუცილებელი გახდება სავალდებულო სერტიფიკაცია, მანამდე კი საქართველოში სერტიფიკაციის ორგანოები ფუნქციონირებენ ნებაყოფლობით საწყისებზე, ამიტომ მეწარმე უმეტესად არ ასრულებს პროდუქციის ლაბორატორიული გამოცდას და სერტიფიცირებას. აქედან გამომდინარე, შიდა ბაზარზე შექმნილია საკმაოდ რთული სიტუაცია ადგილობრივი და იმპორტირებული სასურსათო პროდუქციის უვნებლობის მხრივ, ბაზარი თითქმის არ კონტროლირდება, რის გამოც აქ ხდება უხარისხო, ფალსიფიცირებული და გენმოდიფიცირებული პროდუქტი. ეს კი საბოლოო ჯამში აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამრიგად, დღეისათვის საკმაოდ მწვავე პრობლემას წარმოადგენს სურსათის უვნებლობის საკითხი და საქართველოს ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები აქვს გადასადგმელი [5,6].

ხარისხიანი ყავა ფასდება 7 ძირითადი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლით: გემო, არომატი, ფერი გემონაკრავი, გემოს სისრულე, სიმწარე. ასევე ყურადღება ექცევა ისეთ მახასიათებელს, როგორცაა ყავის ბალანსი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად ჰარმონიულადაა შერწყმული მასში ყველა ხარისხობრივი მაჩვენებელი. ჩვენს მიერ საექსპერტო კვლევის ობიექტებად შერჩეული და შესყიდული იქნა საქართველოს შიდა ბაზარზე რეალიზებაში არსებული 3 ტიპის ყავა: 1. ყავა ნატურალური მოხალული მარცლოვანი დაუფასოებელი; 2. ყავა ნატურალური მოხალული დაფქული დაუფასოებელი; 3. ყავა ნატურალური ხსნადი. თითოეული ტიპის შიგნით აღებული იქნა 3 სხვადასხვა დამამზადებელიდან მოწოდებული სახეობები (სულ-9 ნიმუში).

კვლევის ამოცანას წარმოადგენდა, ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების განსა-



ზღვრის საფუძველზე, დაგვედგინა მათი შესაბამისობა ზემოაღნიშნულ პროდუქციაზე ტექნიკურ მოთხოვნებთან, რათა გამოგვევლინა თითოეული ტიპის ფარგლებში საუკეთესო სახეობა გემონური თვისებებით. ანალიზები ტარდებოდა ყავაზე ტექნიკური მოთხოვნების მეთოდის შესაბამისად [7,8,9]. კვლევის შედეგები წარმოდგენილია 1,2,3 ცხრილებში.

გარეგნული სახით, მარცვლოვანი დაუფასოებელი ყავის 3-ვე სახეობა (“იაკობს მონარქი”, “არაბიკა” და “პელე”) მიეკუთვნებოდა I ხარისხის ყავას. მარცვლები იყო ერთგვაროვნად მოხალული, ყავისფერი, პრიალა ზედაპირით, ყავის მარცვლების გარსის ჩანართებით. მუქი და ღია ყავისფერი მარცვლების შემცველობა, ასევე დატეხილი მარცვლების შემცველობა არ აღემატებოდა 6%-ს. გარეგნული სახით, დაფქული ყავის სახეობებიდან “ROYAL COFFEE BRASILIA” მიეკუთვნება უმაღლესი ხარისხის ყავას, იგი წარმოადგენს ყავისფერ ფხვნილს ყავის მარცვლების გარსის ჩანართებით. “Rio GRANDE” და “JACOBS MONARCH” მიეკუთვნება II ხარისხის ყავას, ისინი წარმოადგენენ მუქ ყავისფერ ფხვნილს ყავის მარცვლების გარსის ჩანართებით. ხსნადი ყავის სამივე სახეობა გარეგნული სახით იყო ფხვნილისებრი.

2. Запрометов М.Н., Основы биохимии фенольных соединений. Изд. „Высшая школа“, М., 1974.213
3. დათეშიძე ლ., შენგელია ა., შენგელია ვ. „ქართული სამედიცინო ენციკლოპედია“. თბილისი 2005

### THE CHARACTERISTIC OF PHENOLIC COMPOUNDS IN APPLE AND THEIR PHARMACOLOGICAL PROPERTIES

Gabriadze T., Gobejishvili L.  
Akaki Tsereteli State University

#### Summary

Phenolic compounds are widespread in flora. Properties of apples depend on the content of polyphenolic connections which define their pharmacological activity.



## ჩირის წარმოების უახლესი ტექნოლოგია

გაფრინდაშვილი ი., ფუტკარაძე ზ., ჯაბნიძე რ.  
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სტატიაში მოცემულია ხილის შრობის უახლოესი ტექნოლოგია საშრობ დანადგარზე “ზეფირა მაქსი” სადაც ხდება ხილის შრობა მზიანი ამინდების დროს მზის გარდატეხილი სხივის საშუალებით. ანადგარი იტალიური წარმოშობისაა. შექმნილია გაეროს პროგრამით. რის ძალზე იაფი და არ მოითხოვს დამატებით მუშა ხელს.*

შრობა კვების პროდუქტების დაკონსერვების ერთ-ერთი ძირითადი ფიზიკური მეთოდია. იგი უზრუნველყოფს მაღალუჭვებადი პროდუქტების გადაყვანას ხანგრძლივი შენახვის მდგომარეობაში, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთელი წლის განმავლობაში მოსახლეობის მაღალი კვებითი ღირებულების და საუკეთესო გემოვნებითი თვისებების მქონე ხილითა და ბოსტნეულით მომარაგების საქმეში. შრობის შედეგად პროდუქტის (ჩირი) მოცულობა მცირდება 3-5-ჯერ, კიდევ უფრო კლებულობს მისი წონარის შედეგადაც მნიშვნელოვნად მცირდება მოთხოვნები ტარაზე, სატრანსპორტო საშუალებებსა და სასაწყობო სათავსებზე; “მშრალი პროდუქტები საკვებ ნივთიერებებს შეიცავს კონცენტრირებული სახით და არ მოითხოვს შენახვის განსაკუთრებულ პირობებს. შრობის ობიექტი შეიძლება იყოს ნედლეული, ნახევარფაბრიკატი ან მზა პროდუქტი. შრობა გულისხმობს მასალისაგან ყოველგვარი სითხის მოცილებას, გაუწყლოება კი - ტენის მოშორებას. ვინაიდან კვების პროდუქტში ტენი ძირითადად წყლის სახითაა, შრობა და გაუწყლოება იდენტურ ხასიათს ატარებს, მასალას აშრობენ სხვადასხვა მიზნით; წონის შესამცირებლად, საკვები ნივთიერების კონცენტრირებისათვის, თბოუნარიანობის ამადლების (სათბობში) შენახვის უნარიანობის გადიდებისათვის და სხვა.

პროდუქტის შრობით დაკონსერვების შემთხვევაში, მისი შემცველი ფერმენტები და მიკროორგანიზმები, რომლებიც ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური გარდაქმნების საფუძველია, განიცდიან ინაქტივაციას, რითაც წყდება ან მინიმუმამდე ეცემა ხსენებული პროცესები და იზრდება შენახვის უნარი.

შრობით დაკონსერვებული პროდუქტების დასაშვები ტენიანობა დამოკიდებულია მის ქიმიურ შედგენილობაზე; რაც მეტია პროდუქტის მუავიანობა და მასში ეთერზეთებისა და დამაკონსერვებელი პროდუქტების შემცველობა, მით უფრო მაღალია დასაშვები ტენიანობა. მაგ, ბოსტნეულის ჩირში იგი არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს, ხილის ჩირში - 25%-ს.

შრობა მიზნად ისახავს მაქსიმალურად შეუნარჩუნოს ნედლეულს ბუნებრივი თვისებები; გემო, არომატი, ფერი, ვიტამინები და სხვა. წყლის დამატების შემდეგ პროდუქტის აღდგენა სწრაფად და სრულად უნდა მიმდინარეობდეს. მაგ, ჩირი კარგად უნდა გაჯირჯედეს, ხილის წვენი ფხვნილი სრულიად უნდა გაიხსნას წყალში, კარტოფლის ფქვილმა უნდა მიიღოს ნაზი აღნაგობის, ერთგვაროვანი პიურეს სახე და სხვა.


ზოგიერთი პროდუქტების შრობის დროს საჭიროა მისი შემცველი ნივთიერებების გარდაქმნები; შაქრების კარამელიზაცია, ცილებისა და შაქრების შეერთება (მაიერის რეაქცია), რომლებიც პროდუქტს ანიჭებენ დამახასიათებელ თვისებებს; ხშირ შემთხვევაში შრობა უნდა მიმდინარეობდეს ისე, რომ ნედლეულში გააქტიურებული იქნას ფერმენტების მოქმედება (ჩაის ფოთლის ღნობა, საცხობი საფუერების შრობა და



სხვა). ამიტომ ყოველი პროდუქტისათვის შედგენილობისა და დანიშნულების მიხედვით არსებობს შრობის ოპტიმალური პირობები; შრობის მეთოდი, რეჟიმი, სითბოს წყარო, საშრობი დანადგარის კონსტრუქცია. ყოველი შესაძლებლობის შემთხვევაში შრობის პროცესი განხორციელებული უნდა იქნას უწყვეტი ქმედების დანადგარებში, პროცესის პროცესის ავტომატური მართვისა და კონტროლის გამოყენებით. ტენიანი მასალების შრობის პრინციპი დამყარებულია ბიოლოგიაში არსებულ მინიმუმის კანონზე. გაუწყლოების პრინციპი და შრობის მეთოდები სხვადასხვაა; მათ შორის აღსანიშნავია; ა) ტენის მოცილება მასალიდან მისი (ტენის) აგრეგატული მდგომარეობის შეუცვლელად, სითხის სახით. ბ) ტენის მოცილება მისი აგრეგატული მდგომარეობის შეცვლით. ე.ი. თხევადი ფაზის ორთქლის მდგომარეობაში გადასვლით.

აჭარაში გაეროს განვითარების ეგიდით დამონტაჟებული იქნა იტალიური წარმოების საშრობი დანადგარი ზეფირა-მახ, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ვაწარმოოთ ვაშლის, ქლიავის, მოცვის და სხვა პროდუქტების მარალხარისხოვანი ჩირები. იგი წარმოადგენს მზის საშრობს სადაც ძირითადი ენერგია მოდის მზიდან და მისი მართვისათვის გამოიყენება მცირე ენერგია ვენტილაციის საშუალებით. მზის ენერჯის შთანთქმისათვის პანელები საშრობის ზედა ნაწილშია განლაგებული. იგი ეფექტურია მზის მცირე გამოცხივების ან საერთოდ არ გამოსხივების დროსაც. ჰაერის 25°C-ზე ტემპერატურის დროს დანადგარში შეიძლება უზრუნველყოთ 35–40°C ტემპერატურა.

დატესტვის რეჟიმში გამშრალი იქნა ვაშლისა და მოცვის ნაყოფები. ნედლეულს ახარისხებენ რეცხავენ გასარეცხ ვანაში, საინსპექციო მაგიდაზე აცილებენ უვარგის ხილს, იღებენ ხილის სათესლეს აპარატზე, ჭრიან ჯოხისებურად კვადრატული კვეთით ნაწილაკებად ხილის მჭრელ მანქანაქზე, რის შემდეგ დაჭრილი ხილი გადის დამუშავებას კენკრას და დაჭრილი ხილის წინასწარი დამუშავების საზზე.




- ▶ კენკრას, დაჭრილი ხილის და ბოსტნეულის გასაშრობათ ჰელიო საშრობის მონაცემები:
- ▶ გარეთა გაბარიტები: 0,6 X 0,22 X 0,22 მ
- ▶ სასარგებლო მოცულობა: 0,59 X 210 X 190მ
- ▶ მზის ენერჯის შთანთქმისათვის პანელები განლაგებულია საშრობის ზედა ნაწილში;
- ▶ საშრობში საშუალო ჩატვირთვა 300 კგ კენკრა ან 0,5 სმ ნაჭრებად დაჭრილი და დამუშავებული ხილი და ბოსტნეული;





- ▶ ელექტროკვების პირობები; ცვალებადი დენი 220/50 ვოლტ/ჰერც, მაქსიმალური ენერგომოსხმარება -400 ვატ/სთ
- ▶ danadgaris nominaluri Tburi simZlavre 10 kvT/mzis radiaciis 1000 vt/ kv.m pirobebSi;
- ▶ Srobis saSualo temperatura -40 °C - haeris saSualo xarji 1800-2000 kub.m/sT, maqsimaluri xarji -4 xarji- 4000 kub.m/s



ხელის გულის ამოსადები და მჭრელი მექანიკური აპარატი

ვაშლის შრობისათვის ვიყენებთ მჯავე და ტკბილ-მჯავე ჯიშებს, არანაკლებ 12% მშრალი ნივთიერების შემცველობით. გადასამუშავებელი ნედლეულის პარტია არ უნდა შეიცავდეს დაჟეჟილ, მაგნებლებით დასენიანებულ და სხვა სახის დეფექტურ ნაყოფებს. შრობისათვის ვაშლის მომზადების წესის მიხედვით ასხვავებენ კულტურული ვაშლის ჯიშებიდან ჩირის წარმოების შემდეგ სახეებს; გაფცქვნილი-რომელსაც ამოცლილი აქვს თესლბუდე დამუშავებულია  $SO_2$ -ით ან  $H_2SO_3$ -ით (კალიფორნიული წესი). არის აგრეთვე მესამე წესი-გაუფცქველი ნაყოფების შრობა ყოველგვარი დამუშავების გარეშე. (მარტივი წესი) შრობის წინ ნედლეული საჭიროებს სათანადო მომზადებას. შრობისათვის გამოუსადეგარია 3,5 სმ-ზე ნაკლები ზომის ნაყოფები, ვინაიდან მათი გაფცქვნიით და შემდგომი დაჭრით მიიღება არასტანდარტული 30მმ-ზე ნაკლები დიამეტრის რგოლები.

გაფცქვნა და თესლბუდის ამოცლა ხორციელდება ხელის გულის ამდები და მჭრელი მექანიკური აპარატით. კანდაცლილი ნაყოფების დაჭრა ხდება 5-6 მმ სისქის რგოლებათ. დაჭრილი ნაყოფები განიცდის დამუშავებას გოგირდოვანი ანჰიდრიდით, რაც ხელს უშლის ფერის შეცვლას შრობამდე დაყოვნებისა და შრობის პროცესში, რომელიც წარმოებს 0.15% გოგირდოვანი მჟავას ხსნარში მოთავსებით. ჭარბი ხსნარის მოცილების შემდეგ მომზადებული ნაყოფების მოწოდება ხდება ჰელიო სისტემის დანადგარში ზეფირა-მაქს სადაც 35-40 °C ტემპერატურაზე მიმდინარეობს შრობის პროცესი.

ჩირის მისაღებად გამოყენებულია როგორც კულტურული, ასევე ველურად მოზარდი ჯიშის კენკროვნები; მარწყვი, ჟოლო, შავი მოცხარი, ხურტკმელა, მაცვალი, მოცვი და სხვა.



მიღებული ნედლეული ,მოცვი, ხარისხდება,ერთდროულად აცლიან ყუნწს.დახარისხებული ირეცხება შხაპითან წყლიან ავზში 2-3 ჯერ ჩაძირვით. ონდება 5-10 წთ–ს წყლის ჩამოწრეტის მიზნით, რის შემდეგ თხელი ფენით თავსდება საშრობში შრობა ტარდება 45-55° ჩ ზე, მზა პროდუქტის საბოლოო ტენიანობა შეადგენს 18-19%-ს.

მიღებულ ნედლეულს ვაპაკეტებთ და ვფუთავთ.

ხარისხიან ჩირზე სამომავლოდ მზარდი მოთხოვნა ქვეყნის შიგა ბაზარზეც იქნება.ამიტომაც მოკლე დროში უნდა ვიზრუნოთ ამ მიმართულებით სამრეწველო რელსებზე გადასაყვანად.

### ლიტერატურა

- 1ა ჩავლეშვილი ხელისა და ბოსტნეულის შრობის ტექნოლოგია თბილისი 1985
- 2 . Кац З.А. Производство сушеных овощей, картофеля и фруктов. Москва, 1984 г.
- 3ა. ჩავლეიშვილი. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია. თბილისი 1988 წ.

### THE NEWEST TECHNOLOGY OF DRYING FRUITS

**Gaprindashvili I., Futkaradze Z., Djabnidze R.**

Batumi Shota Rustaveli State University

#### Summary

The article studies newest technology of drying fruit dryer sunny Zefiro-max. Shows that the product is placed in an oven fresh and dried fully removed. That has a great influence on the formation of high-quality performance of the finished product.

## ИСПОЛЬЗОВАНИЕ ЛЬНЯНОЙ МУКИ ДЛЯ ПОВЫШЕНИЯ ПИЩЕВОЙ ЦЕННОСТИ СОУСОВ

**Кравчук Н. Н., Гладчук О. М.**

Национальный университет пищевых технологий

*Льняная мука, благодаря своему составу, является уникальным продуктом оздоровительного характера. При добавлении ее в состав соуса, повышается его пищевая и биологическая ценность. Такой соус обогащается витаминами и минеральными веществами, сбалансирован его аминокислотный состав. Богатый набор минеральных веществ и витаминов выводят льняную муку в разряд здоровых продуктов, огромным ее плюсом является легкое усвоение всех полезных веществ организмом человека.*

Льняная мука является уникальным продуктом и может находить применение в качестве полезного компонента в соусе. При добавлении ее в состав соуса, повышается его пищевая и биологическая ценность, соус обогащается витаминами и минеральными веществами, сбалансирован его аминокислотный состав. Здоровье человека во многом определяется полноценность пищевого рациона и стабильностью поступления питательных веществ в организм. В последнее время большое внимание уделяется разработке пищевых продуктов оздоровительного характера. Одним из основных направлений области здорового питания является производство продуктов, имеющих поликомпонентный состав, поскольку за счет этого достигается наиболее полное обеспечение организма полезными нутриентами в необходимом количестве. Человеческому организму необходимо не только достаточное количество углеводов, жиров, белков, но и биологически активных веществ, так как регуляторные системы организма





оценивают еду по поступлению биологически активных веществ, а не по количеству калорий. В связи с этим возникает необходимость поиска источников биологически активных веществ растительного происхождения в качестве сырья для производства полноценных продуктов питания с высокой биологической ценностью. Одним из самых богатых источников биологически активных веществ является льняная мука. Благодаря уникальному составу ее можно считать продуктом, который имеет оздоровительное воздействие на организм человека.

Льняная мука является богатым растительным источником незаменимых высших полиненасыщенных кислот Омега-3, Омега-6, Омега-9. Полиненасыщенные жирные кислоты льняного семени являются незаменимыми, то есть такими, которые организм не может синтезировать самостоятельно, поскольку они входят в состав оболочек всех клеток тела и от достаточного количества этих кислот в нашем рационе, зависит здоровье и продолжительность жизни каждой клетки, и, соответственно, всего организма. На 62 % льняная мука состоит из альфа - линоленовой кислоты (класс омега -3 жирных кислот), которая повышает интенсивность обмена веществ и нормализует его при патологиях, увеличивает поглощение кислорода тканями и способствует выработке энергии.

В льняной муке содержится 30-40 % пищевых волокон, которые являются необходимым компонентом питания человека. Пищевые волокна льна обладают уникальной способностью всасывать воду (в 4-6 раз больше ее собственного объема), связывать и выводить вредные вещества и является питательной средой для полезной кишечной микрофлоры.

Льняная мука содержит белок высокой биологической активности, который по своему составу близок к идеальному белку человеческого организма. Очень высокая пищевая ценность белка льняного семени. Его аминокислотный состав аналогичен составу соевых белков, которые считаются наиболее питательными растительными протеинами. Лимитирующими аминокислотами в льняной муке являются лизин, фенилаланин + тирозин. Все остальные кислоты имеют большой аминокислотный скор, что доказывает сбалансированность рассматриваемых белков по аминокислотному составу и их высокую пищевую ценность. Содержание незаменимых аминокислот составляет 34-44% от общего содержания аминокислот.

Льняное семя - один из богатейших источников лигнанов . Эти соединения широко распространены в растительном мире, способны защищать организм от некоторых видов гормонально зависимых онкологических заболеваний . Качественный и количественный состав белков семян льна свидетельствует о перспективах их применения в качестве источника белка для повышения биологической ценности пищевых продуктов. Эффективным способом совершенствования структуры питания населения является развитие широкого ассортимента соусов с использованием в их составе льняной муки. Поскольку льняная мука нормализует работу желудочно-кишечного тракта, очищает организм благодаря высокому содержанию слизистых веществ, препятствует развитию ряда серьезных заболеваний сердечнососудистой системы, благодаря содержанию лигнанов способно подавлять рост и распространение раковых клеток.

Льняная мука, добавленная в состав соуса, повышает его пищевую и биологическую ценность, обогащает витаминами и минеральными веществами, балансирует его аминокислотный состав (табл. 1).

Как видно из таблицы в соусе из льняной муки количество белка увеличивается на 58 % , количество жира - в основном это полиненасыщенные жирные кислоты, полезные для организма Омега - 3, Омега - 6, которые не синтезируются организмом самостоятельно - увеличивается на 35 %. Соус обогащается калием, кальцием, магнием, фосфором, железом. Увеличивается содержание витаминов В1, В2, В5, РР, Е. Особенностью льняной муки является то, что все витамины, минералы, жиры легко усваиваются организмом. Кроме того, льняная мука обладает влагопогло-



Таблица 1

Пищевая ценность соусов (100 г)

Химический состав, г	Соус с льняной мукой	Соус с пшеничной мукой	Отклонение, %
Білки	2,62	1,66	+ 58
Жири	6,85	5,08	+ 35
Вуглеводи	4,9	8,18	-40
Na	0,040	0,043	-7
K	2,081	1,372	+ 52
Ca	0,332	0,096	+ 246
Mg	0,533	0,118	+ 455
P	0,803	0,267	+ 201
Fe	0,009	0,005	+ 76
Витамин А	0,0106	0,0106	-
Витамин В1	0,00076	0,00043	+ 76
Витамин В2	0,00046	0,00030	+ 53
Витамин В5	0,00052	-	+ 100
Витамин РР	0,0063	0,0043	147
Витамин С	0,06	0,06	-
Витамин Е	0,0039	0,003	+ 30

щающими свойствами, что объясняет ее способность увеличивать срок свежести продукта. Учитывая вышесказанное, можно сделать вывод, что целесообразно использовать льняную муку в рецептурах соусов. Это повышает их пищевую и биологическую ценность, обогащает витаминами и минеральными веществами, балансирует аминокислотный состав, нормализует работу желудочно-кишечного тракта, очищает организм от шлаков, препятствует развитию ряда серьезных заболеваний сердечнососудистой системы, благодаря содержанию лигнанов способно подавлять рост и распространение раковых клеток. Богатый набор минеральных веществ и витаминов выводят льняную муку в разряд здоровых продуктов, огромным ее плюсом является легкое усвоение всех полезных веществ организмом человека.

**Литература**

1. Иоргачсва Е.Г. Научные основы технологий кондитерских изделий с использованием функциональных растительных добавок: Одесса, 2004. – 590 с.
2. Краус. С. Льняное семя и пищевая ценность хлебобулочных изделий. Хлебопродукты. – 2000. - №9. – с. 156
3. Wojats S. Laneno seme u proizvodnji specijalnih vrsta hleba i peciva - 2000.- 230 с.

**THE USE OF FLAX FLOUR TO BOOST THE NUTRITIONAL VALUE OF SAUCES**

**Kravchuk N., Hladchuk O.**

National University of Food Technologies

Summary

Due to its unique composition, flax flour can be considered a product having healthy effect on a human organism. In sauce made of flax flour proportion of protein is increased by 58%, amount of fats-mainly polyunsaturated fatty acids Omega-3 and Omega-6 is raised by 35%. This kind of sauce appears to be rich in calcium, magnesium, phosphorus, iron, vitamins B1, B2, B5, PP, E. An advantageous feature of flax flour is that fats, vitamins and minerals from it are easily absorbed by our digestive system. An effective way of betterment of nutrition structure would be developing a wide range of sauces using flax flour in their content.



## სუბტროპიკული ხურმის ნაყოფების შენახვა

### გოგიშვილი ნ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*საქართველოში სუბტროპიკული ხურმის ნარგავებს მოსავლიანობის მიხედვით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ციტრუსების შემდეგ. ჩვეულებრივ პირობებში შენახვისას დღია დანაკარგები ნაყოფების სწრაფი გაფუჭების გამო. სუბტროპიკული ხურმის ნაყოფების შენახვას აქვს სამრეწველო მნიშვნელობა, რადგან ისინი შეიძლება დიდხანს შეინახონ დაბალ ტემპერატურაზე. ხანგრძლივი დროით დაბალ ტემპერატურაზე შენახვისას აღინიშნება ხურმის ნაყოფების გემური თვისებების გაუმჯობესება და ორგანოლექტიური შეფასების ამაღლება.*

საქართველოში სუბტროპიკული ხურმის ნარგავებს მოსავლიანობის მიხედვით მეორე ადგილი უჭირავთ ციტრუსების შემდეგ. ამჟამად ამ კულტურის ნაყოფების გადამუშავება არ აღემატება 5-6 ათას ტონას, რაც შეადგენს შესაძლებლობის 40-50%-ს. ამის მიზეზს წარმოადგენს დამწიფების მოკლე სეზონი (3-4 კვირა) და დიდი დანაკარგები ჩვეულებრივ პირობებში შენახვისას ხურმის სწრაფი გაფუჭების გამო.

ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა სამუშაო ნაყოფების შენახვის ოპტიმალური რეჟიმის დასადგენად. ცდები ტარდებოდა ჩვეულებრივ საწყობის ტემპერატურაზე (14-16°C), 0; -1°C და ასევე გაყინულ მდგომარეობაში (-18°C-ზე). შესანახად აღებულ იქნა ჰაჩიას და ჰიაკუმეს ნაყოფები ტექნიკურ სიმწიფეში.

შენახვის ეფექტურობის მახასიათებელ პარამეტრებს წარმოადგენს დანაკარგების სიდიდე, დაზიანების ზომები და ნაყოფების შეფასება მათი შესაძლო რეალიზაციით.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ხურმის დაწყობის უნარიანობა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან ჯიშისაგან დამოკიდებულებით. ჰაჩიას ნაყოფები ინახება უფრო კარგად, ვიდრე ჰიაკუმეს ნაყოფები (10 დღეზე მეტი). ხურმის შენახვის ხანგრძლივობის ზღვარმა შეადგინა 8-10 დღე.

ცნობილია, რომ შენახვის ტემპერატურის შემცირებით ნელდება როგორც სუნთქვის ნორმალური ბიოქიმიური პროცესი, ასევე ნაყოფების დაზიანება. ცდებმა აჩვენა, რომ ხურმის მასის დანაკარგი 0-დან 1°C ტემპერატურაზე შენახვის დროს 1 დღე-ღამის განმავლობაში შეადგენს 0,18%-ს პირველი 10 დღე და იკლებს 0,07%-მდე 60 დღის განმავლობაში შემდეგ. ასეთ ტემპერატურაზე სუბტროპიკული ხურმის შენახვის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ნაყოფების დაზიანების მკვეთრი შემცირება. ასე, მაგ. 40 დღეში დაზიანებამ შეადგინა 11,6-დან 15,1%-მდე, მაშინ, როცა 14-16 °C ტემპერატურაზე შენახვის დროს ხურმის ნაყოფები უკვე 10 დღეში გაფუჭდა.

ხურმის ნაყოფების შენახვის ოპტიმალურ ტემპერატურად შეიძლება ჩაითვალოს 0 -1°C. ასეთ ტემპერატურაზე შენახვის ორგანიზება ტექნიკურად არაა რთული, ნაყოფები სასაქონლო სახეს ინარჩუნებს 2 თვის მანძილზე. ასეთ ტემპერატურაზე ხურმის შენახვა ჩვეულებრივ სასაწყობე პირობებში შენახვასთან შედარებით ეკონომიურად ეფექტურია.

გაყინვა წარმოადგენს კონსერვირების ერთ-ერთ მეთოდს, რომლის დროსაც ბიოქიმიური პროცესები ბიოლოგიურ ობიექტში თითქმის აღსდგება. გაყინულ მდგომარეობაში შენახვისას არ მიმდინარეობს ლპობა და ფაქტიურად არაა მასის დანაკარგები ნაყოფის ფიზიოლოგიური სუნთქვის ხარჯზე. ნაყოფების ხანგრძლივი შენახვის დროს გაყინულ მდგომარეობაში მათი მასის ცვლილება წარმოადგენს სუბლიმაციის შედეგს, რომელიც წარმოიქმნის ყინულის კრისტალებს.

გაყინვა ხურმის კონსერვირების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ყინვა აჩერებს



მიკროფლორისა და ფერმენტების ბიოლოგიურ მოქმედებას, ამავე დროს არ ცვლის კოლოიდებს და საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული ნაყოფის ნატურალური გემო.

გასაყინად გამოსადეგია ხურმის ის ნაყოფები, რომლებსაც სიმწიფისას კარგი გემო აქვთ, ამასთან ერთად, უპირატესობა ეძლევა ღია ფერის რბილობიან ნაყოფებს, რამდენადაც ამ ნაყოფებს კარგი გარეგნობა აქვთ. გაყინვა, ხოლო შემდგომ დეფროსტაცია ამათუ იმ ხარისხით ცვლის ქსოვილის სტრუქტურას, ამიტომ ასე დამუშავებული ნაყოფები განსხვავდებიან ახლისაგან.

ერთ-ერთი ინდიკატორული მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს ნაყოფების ვარგისიანობას დაბალტემპერატურული გაყინვისათვის, წარმოადგენს კრიორეზისტენტულობა. (ცხრ.1)

ცხრილი 1

სუბტროპიკული ხურმის წვენი დანაკარგები გაყინვისას

ჯიშები	ნაყოფის მასა, გ	წვენი დანაკარგი გაყინვისას, (%)		
		მაშინვე გაყინვის შემდეგ	6 თვის შენახვის შემდეგ	10 თვის შენახვის შემდეგ
ჯირო	155,7	0,412	1,165	1,178
ზენჯი-მარუ	140,6	0,662	0,777	0,786
ჰახია	227,3	0,305	1,171	1,180
შიდლესი	129,1	0,359	0,842	0,881
იაკუმე	177,6	0,537	0,634	0,697
საშუალო	166,1	0,455	0,918	0,944

ჩვენ დავადგინეთ, რომ ხურმის ნაყოფები გამოირჩევიან მაღალი ტენშეკაუების უნარით. საშუალოდ, წვენი დანაკარგმა 10 თვის შენახვის შემდეგ დაბალტემპერატურაზე შეადგინა 0,697% (ჰიაკუმე) და 1,180% (ჰახია). საშუალოდ ყველა ჯიშში კი 0,944%.

ამრიგად, სუბტროპიკული ხურმის ნაყოფები ვარგისია გაყინვისათვის, ვინაიდან კარგავენ წვენი მინიმალურ რაოდენობას გაყინვისას, რაც აიხსნება რბილობის სტაბილურად მჭიდრო კონსისტენციით, მშრალი ნივთიერების და მაღალმოლეკულური ნახშირწყლების მომატებული შემცველობით, ქსოვილების სტრუქტურის სიმტკიცით და მდგრადობით დასკდომის მიმართ, მორიმლავი და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობით. ყველა ეს თვისება საშუალებას იძლევა რეკომენდაცია გავუწიოთ ხურმის ჯიშებს გაყინული პროდუქციის საწარმოებლად. ხანგრძლივი დროით დაბალტემპერატურაზე შენახვისას აღინიშნება გემური თვისებების გაუმჯობესება და ორგანოლექტიკური შეფასების ამაღლება. სუბტროპიკული ხურმის ნაყოფების გაყინვას აქვს ფართო სამრეწველო მნიშვნელობა, რადგან ისინი შეიძლება შეინახონ განუსაზღვრელად დიდხანს და სიმწკლარტის მოცილების შედეგად უმჯობესდება ნაყოფების გემო.

**ლიტერატურა**

1. სუბტროპიკული ხურმის ჯიშების ატლასი. ნიუარაძე ა.; ფიშმანი გ.; სამარინა ა.; რომანენკო ე. გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“. თბ. 1965წ.
2. Фишман Г. Испытание различных сортов хурмы для производства сухофруктов. 1945г. стр.22
3. გოგიშვილი ნ.; ლაზიშვილი ლ. – სუბტროპიკული ხურმის ნაყოფიდან მშრალი პროდუქტების წარმოების პერსპექტივები იმერეთში. სუბტროპიკული კულტურები. ანასეული. 2005წელი. №1-2. გვ. 191-195.
4. ნ. გოგიშვილი – სუბტროპიკული ხურმის ნაყოფის გრანულისებრი ჩირის მიღების ტექნოლოგიური პარამეტრების გამოკვლევა-დამუშავება, მონოგრაფია. ქუთაისი, მბმ პოლიგრაფი. 2009წელი.



**KEEPING SUBTROPICAL PERSIMON'S PRODUCTS**

**Gogishvili N.**

Akaki Tsereteli State University

Summary

According to the productivity subtropical persimon`s plants take an important place after the citrus in Georgia. When we keep product in usual conditions most of them are damaged. Keeping subtropical persimon`s products have an industrial meaning as they can be kept in a low temperature for a long time. In such conditions these products become better to taste. It is considered that persimons have an ability of delaying the moisture. After ten months keeping in a low temperature persimons juice was lost 0,944 %. Subtropical persimons` products are good for freezing as they lose the minimal quantity of juice during the freezing.

**ორბანული ჩაის პროდუქციის წამოებისას ცვლილებები  
 სარეველების სახეობრივ შემადგენლობაში**

**გოგიშვილი ნ.**

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

*ეკოლოგიურად სუფთა ჩაის პროდუქციის მიღების მიზნით ჩაის პლანტაციაში გამოყენებული იქნა ორგანული სასუქების ნაკელი, ტორფი, ნახშირი და ცეოლითის ნაზავი. ჩაის მცენარის ზრდა-განვითარების და მოსავლიანობის მხრივ უკეთესი შედეგი იყო ნაკელისა და ტორფის ვარიანტებზე. ნაკელისა და ტორფის შეტანამ გამოიწვია ახალი არადაზიანებადი ჩაის პლანტაციისთვის სარეველათა სახეობების გავრცელება, როგორცაა ჯიჯლაყა, ნაცარქათამა, ბურჩხა, დანდური, ამროზია, ორკბილა, გლეგრა, ლემა და სხვა.*

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში 2009-2011 წ. მიმდინარეობდა საცდელი სამუშაოები საგრანტო პროექტზე „ქართული ორგანული ჩაის წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება“. პროექტის მიზანი იყო მიღებულიყო ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა ჩაის პროდუქცია ორგანული და ბუნებრივი სასუქების გამოყენებით. ამ მიზნით ჩაის პლანტაციაში შეტანილი იქნა სხვადასხვა კომპონენტების კომბინირებული ნაზავი შემდეგი სქემით: 1) NPK- აგროწესებით (კონტროლი), 2) ტორფ-ნაკელიანი, 3) ნაკელ-ნახშირიანი, 4) ნაკელ-ხანშირ-ტორფიანი, 5) ნაკელ-ნახშირ-ტორფიანი+ცეოლითი, 6) ორგანიკა აზოტის მიხედვით. აღნიშნული კომპონენტები წინასწარ იქნა შერეული ერთმანეთში და მეორე წელს შეტანილი იქნა ჩაის პლანტაციაში სქემის მიხედვით.

ნაკელსა და ტორფში არსებულმა მილიონობით სხვადასხვა სახეობის სარეველათა თესვებმა იწვევს მასიური აღმოცენება, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ ჩატარებული ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც დაუკარგავდა თესვებს აღმოცენების უნარს. რაც შეეხება სხვა კომპონენტებს (ნახშირი, ცეოლითები და ფოსფორიტის ფქვილი) მათზე არ აღმოცენებულან სარეველათა თესვების არარსებობის გამო. ნაკელისა და ტორფის გროვაზე ამოსული სარეველები წინასწარ შერეულად ჩაითოხნენ ნიადაგში სამჯერ, მაგრამ სარეველათა თესვების დიდი რაოდენობით არსებობის გამო ისინი ხელახლა აღმოცენდნენ. საინტერესოა სარეველათა თესვების ბიოლოგიური თავისებურება, როცა პირველი ნაკადი წამოვა და დაფარავს მთელ ფართობს, ნიადაგში დარჩენილი თესვები იმყოფებიან დაკონსერვებულ მდგომარეობაში და აღმოცენდებიან მხოლოდ პირველად წამოსულების გათოხნის შემდეგ. ეს პროცესი მეორდება რამოდენიმეჯერ. ნაკელისა და





ტორფის შერევის შედეგად სხვა კომპონენტებთან სარეველათა თესვები თავისთავად გადატანილ იქნა ნაზავში, შემდეგ კი ჩაის პლანტაციაში, სადაც ისინი კვლავ აღმოცენდნენ.

ყველაზე მეტი რაოდენობით სხვადასხვა სახეობის სარეველები აღმოცენდნენ ნაკელის გროვაზე, მიუხედავად იმისა, რომ სარეველათა თესვებმა გაიარეს საქონლის კუჭი და მაინც შეინარჩუნეს აღმოცენების უნარიანობა. შემდეგ სარეველების განვითარების მხრივ მოდის ტორფი, რომელშიც ასევე დიდი რაოდენობითაა ჭარბტენიანი ნიადაგებისათვის დამახასიათებელი სარეველათა თესვები.

ცდაში გამოყენებული კომპონენტების არსებული მეთოდის მიხედვით შერევის შედეგად ჩატარებული იქნა აღრიცხვები აღმოცენებულ სარეველათა სახეობების მიხედვით, როგორც რაოდენობითი, ასევე წონითი მეთოდით. დასარეველიანების ხარისხმა მაქსიმუმს მიაღწია ტორფ-ნაკელიან კომპოსტზე, ხოლო ნახშირისა და სხვა ნაერთების დამატებისას სარეველათა რაოდენობა კლებულობს. კომბინირებული ნაზავის გროვებზე პირველად აღმოცენდნენ საგაზაფხულო სარეველები, შემდეგ საზაფხულო, ხოლო ჩაკეთების შედეგად საშემოდგომო სახეობები. ნაზავზე სარეველათა შორის ყველაზე მასიურად გავრცელდა ჯიჯლაყა, რაც შეადგენდა საერთო დასარეველიანების 40-50 %-ს, შემდეგი სახეობები იყო ბურჩხა 20-30 %, ამროზია 5 %, ორკბილა 4 %, ღემა 3,5 %, დანდური - 3 %, მწყერფეხა 2 %, გლერტა 1 %. ასევე ერთეულ ეგზემპლარებად აღმოცენებული იყო ძურწა, ლაკარტია, მრავალბარღვა, წიწმატურა, ბაბუაწვერა, წალიკა, ერეხტიტესი და სხვა. სარეველების ნიადაგში ჩაკეთების შემდეგ შემოდგომაზე აღმოცენდა ჟუნურუკი, რომელმაც მოიცვა მთელი ფართობი და გააგრძელა ეგზემპლარებიან ვარშიც. სახეობებისდა მიხედვით სარეველებმა მიაღწიეს სიმაღლეს 20-50 სმ, რაოდენობრივად 1 მ<sup>2</sup>-ზე იყო ჯიჯლაყა - 40 ღერო, ბურჩხა - 88, ამროზია - 6, ორკბილა - 4, დანარჩენი სარეველები კი თითო-ოროლა ღერო 1 მ<sup>2</sup>-ზე. სარეველების ნელი მასა 1 მ<sup>2</sup>-ზე შეადგენდა 1,5-დან 2 კგ-მდე, ხოლო ხმელი წონა ჰაერმშრალ მდგომარეობაში 160-დან 240 გრ-მდე.

კომბინირებული ნაზავის გროვაზე არსებული სარეველების მესამეჯერ ჩაკეთების შედეგად მეორე წელს შეტანილ იქნა ჩაის პლანტაციაში სქემის მიხედვით. აქაც სარეველების განვითარების მხრივ თითქმის იგივე მდგომარეობა განმეორდა. ყველაზე მეტი და დიდი მიწისზედა მასის მქონე სარეველები განვითარდნენ ნაკელ-ტორფის ვარიანტებზე. დანარჩენ ვარიანტებზე სადაც ნაკელი და ტორფი შერეულია ნახშირთან და ცეოლითთან სარეველათა რაოდენობა შემცირდნენ, იმისდა მიხედვით თუ რა პროცენტული რაოდენობით შედიოდა ისინი ნაზავში. თითქმის ასეთივე კანონზომიერებით განვითარდნენ სარეველები სხვა რეგიონებში არსებულ საცდელ ნაკვეთებზე.

ჩაის პლანტაციებში კომბინირებული ნაზავის შეტანის წინ აღრიცხული იქნა იქ გავრცელებული სარეველათა სახეობები. ნაშრომის მოცულობის შემცირების მიზნით მოგვეყავს მხოლოდ ანასეულის პირობებში არსებული მდგომარეობა. აქ გვხვდება შემდეგი სახეობები გვიმრა, მაყვალი, იაპონური გრაკლა, ამროზია, ჭიაფერა, ცხენისკუდა, ტყის ჭორტანა, ჩაქვის ბალახი, მუაუნა, სამყურა, გარეული მარწყვი, მწყერფეხა და სხვა ჩაის პლანტაციისათვის დამახასიათებელი სახეობები. კომბინირებული ნაზავის შეტანის შემდეგ მათ რიცხვს დაემატა აქამდე არარსებული სახეობები: ჯიჯლაყა, ნაცარქათამა, დანდური, ორკბილა, ლაკარტია, მრავალბარღვა, წიწმატურა, ბურჩხა, ბაბუაწვერა, ღემა, გლერტა და ჟუნურუკი. აღნიშნული სარეველები უფრო ძლიერ განვითარდნენ ნაკელ-ტორფიან ვარიანტებზე, რადგან აქ მაღალი განაყოფიერების ფონია. შემდგომ წლებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ კონკურენციის მქონე მრავალწლიანი სარე-



ველებს (გვიმრა, იაპონური გრაკლა, მაყვალი და სხვა) გავრცელების კერებში, ასევე ჩატარებული მაღალი აგროტექნიკური ღონისძიებების ფონზე ახალშემოტანილი და სხვა სუსტი ბიოლოგიის მქონე სარეველათა სახეობების რაოდენობრიობამ იკლო.

ჩაის მცენარის ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობის მატების მხრივ ყველაზე კარგი მაჩვენებელი იყო მიღებული ნაკელ-ტორფის ვარიანტებზე, შემდგომ მოდის NPK (კონტროლის) ვარიანტი. დანარჩენ ვარიანტებზე კი დაფიქსირდა 5-15 %-ით ნაკლები მაჩვენებლები.

იმისათვის, რომ ნაკელსა და ტორფში არსებულმა სარეველათა თესლებმა დაკარგონ აღმოცენების უნარი, საჭიროა წინასწარ ჩატარებულ იქნას ბრძოლის ღონისძიებანი. მინიმუმ სამი თვე მაინც ახალი ნაკელი ტორფთან ერთად უნდა იქნას შენახული სპეციალურ ნაკელსაცავებში ან შპატელებად. უფრო უკეთესია და გარანტირებული მათი დაყოვნება ნაკელსაცავებში ერთის წლის განმავლობაში, სადაც ხდება მათი გადაშუშავება-დაძველება, გაიზრდება მათი ნაყოფიერება და გადავა მცენარისათვის უფრო ადვილად ასათვისებელ ფორმაში. ნიადაგში არსებულ სარეველათა თესლებს აღმოცენების უნარს უკარგავს ასევე მაღალი 100-125<sup>0</sup> ტემპერატურა 3-5 საათის განმავლობაში, ან 100-135<sup>0</sup> ცხელი ჰაერის ნაკადი 1 საათის პერიოდში სპეციალურ დანადგარებში.

**ლიტერატურა**

1. ბიგვაა ლ., ჩიკაშუა ქ. და სხვ. ორგანული სასუქების გავლენა ჩაის პლანტაციის მოსავლიანობისა და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. საქ. აგრარული უნივერსიტეტის რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი. II საერთაშორისო კონფერენცია. შრომების კრებული 2012 წ.
2. ჩაის მცენარის აგროწესები. ოზურგეთი-ანასეული, 1990 წ.
3. რ. კოპალიანი. ჩაის კულტურის რეაბილიტაციის მეცნიერული საფუძვლები საქართველოში. გამომცემლობა „ზეკარი“, თბილისი, 2003 წ.
4. ი. ფერაძე, გ. ტყეშელაშვილი. მინდვრის ცდები. თბილისი, 1978 წ.

**CHANGES IN WEED SPECIES COMPOSITION WHILE ORGANIC TEA PRODUCTION**

**Gogoladze G.**

Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry of Georgia Agrarian University

**Summary**

In order to produce ecologically pure tea production there was used fertilizers manure, peat, coal and zeolite mixture in tea plantations.

According to the tea plant`s growth and productivity better result was noted on manure and peat samples.

Manure and peat treatment caused spreading of new, weed species uncharacteristic to tea plantation, such as: *Amarathus tetroflexus-L*; *Echinochloa crusgalli-L*; *Chenopodium album-L*; *Roptulaca aleracea*; *Amrosia artemisifolia-L*; *Ridens tripartite-L*; *Cunodon Dactulon-L*; *Datura stamonium-L*.

**საქართველოს ბარის ზონაში ზეგუს გამოყენებით ეკოლოგიურად სუფთა ძროხის რძის წარმოების პერსპექტივები**

**გოგოლი გ., თორთლაძე ლ., მაჭარაშვილი გ., ტაბატაძე ლ.**  
 საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

ვერობული წარმოების ჯიშის ძროხეულის ზეგუსთან პიბრიდიზაციის საფუძველზე შესაძლებელია საქართველოს ბარის ზონაში კლიმატური ფაქტორებისადმი ტოლერანტული და სხვადასხვა დაავადებებისადმი გადიდებული რეზისტენტობის მქონე მაღალპროდუქტიული ცხოველების მიღება, რაც უზრუნველყოფს, როგორც ეკოლოგიურად სუფთა ძროხის რძის წარმოებას, ასევე ბუნებრივი საძოვრების ეფექტურად გამოყენებას.



სარძეო მეძროხეობა საქართველოს მეცხოველობის წამყვანი დარგია და მისი განვითარების დონე წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს მომხმარებლის სურსათით უზრუნველყოფისა და სოფლად მცხოვრებთა ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად. იმავდროულად, ქვეყანაში მეტად მწვავედ დგას შიდა ბაზრის რძით და რძის პროდუქტებით მომარაგების საკითხი. სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში 1 მომხმარებელზე საშუალოდ იწარმოება 170-175 კგ რძე, რაც სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს გაეროს სურსათისა და აგრარულ საკითხთა (FAO) და მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის (WHO) ორგანიზაციების მიერ დადგენილ ნორმებს.

არსებული რეალობა გვიჩვენებს, რომ უახლოესი 15–20 წლის მანძილზე ქვეყანაში რძის წარმოების გადიდება, ძირითადად, უნდა მოხდეს წვრილ ფერმერულ და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხარჯზე. სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, საქართველოში აღრიცხულ 728 ათასზე მეტ შინამეურნეობაში ძროხა და/ან კამეჩი ჰყავთ 415,3 ათასში, ხოლო იმ საოჯახო და ფერმერულ მეურნეობების ხვედრითი წილი, რომეთაც ჰყავთ 4 სულამდე ძროხა შეადგენს 86,4%– ს [1].

საგულისხმოა, რომ საოჯახო და ფერმერულ მეურნეობებში რძის წარმოება, ძირითადად ეფუძნება ბუნებრივი საკვები სავარგულების გამოყენებას, რომლის საერთო ფართობი 1941 ათას ჰა-ს შეადგენს. ამასთან საქართველოს ბარის ზონის ეკოლოგიური პირობები ზღუდავს მაღალპროდუქტიული სარძეო მიმართულების ევროპული ჯიშების გამოყენებას. მეორეს მხრივ, აქ მოშენებული პირუტყვი, ძირითადად, წარმოდგენილია კულტურულ ჯიშებთან ადგილობრივ ძროხის ნაჯვარი სულადობით, რომელთა გენეტიკური პოტენცია მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ისინი ძნელად ეგუებიან ბარის ეკოლოგიურ პირობებს, რაც ამცირებს მოშენების ეფექტურობას; საქმე ის არის, რომ:

1. ბარის ზონაში გაზაფხულ-ზაფხულის თვეებში 100-120 დღე ჰაერის ტემპერატურა აღწევს +25...+39<sup>0</sup>C– ს, რის გამოც საგრძნობლად მცირდება მათი პროდუქტიულობა და ნაყოფიერება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პაპანაქება სიცხის უარყოფითი მოქმედება ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ძლიერდება გადიდებული ინსოლაციით, ხოლო დასავლეთში ჰაერის მაღალი ფარდობითი ტენიანობით, გასაგები გახდება პრობლემის სიმწვავე;
2. ზღვის დონიდან 1000 მ სიმაღლემდე ზონაში ფართოდ არის გავრცელებული პიროპლაზმიდოზების გადამტანი Ixoida ქვეოჯახის ტკიპების რამოდენიმე სახეობა; ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება ცხოველთა აკაროციდებით სისტემატიურად დამუშავება, რაც პროდუქტიულობის შემცირებასა და ნაყოფიერების დაქვეითებასთან ერთად ჰქმნის გარკვეულ საფრთხეებს; კერძოდ, ეს პრეპარატები კანიდან შეიწოვებიან სისხლში, აქედან კი ხვდება რძეში და აბინძურებს მას, ხოლო გარემოში მოხვედრილი “ნარჩენები”, უარყოფითად მოქმედებენ მთელ ეკოსისტემაზე;
3. ზოგადად ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ბარის რაიონებში არანაკლები პრობლემაა რთული ეპიზოტურ-ზოონოზური სიტუაცია, რომლის მიზეზით, სხვა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებთან ერთად ძროხის სიკვდილიანობა ყოველწლიურად იზრდება, ხოლო 2011 წლის მონაცემებით მიაღწია ძროხეულის საერთო სულადობის 8,2%– ს [2].

ეს არის იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ წლების მანძილზე ჩვენში 1 ფურის საშუალო წლიური მონაწველი 1100-1300 კგ რძეა, საშუალოდ 1 სული ძროხიდან კი წარმოებულია მხოლოდ 14 კგ ხორცი (ნაკლავი მასით).

ასეთ პირობებში, რძის წარმოების სექტორის განვითარებისა და მისი ეფექტურო-



ბის გადიდების ერთ-ერთი ყველაზე იაფი, სწრაფი და მისაღები მიმართულებაა გარემოსადმი ტოლერანტული და დაავადებებისადმი მაღალრეზისტენტული ცხოველების მოშენება; ამის კარგი გამოცდილება არსებობს მსოფლიოს სუბტროპიკული და ტროპიკული კლიმატის ქვეყნებში, სადაც პრობლემა ცხოველთა მოშენებლებმა გადაწყვიტეს ზებუს (*B.indicus*) სიცხისადმი ტოლერანტობისა და დაავადებებისადმი რეზისტენტობისა და ევროპული ჯიშების (*B. taurus*) პროდუქტიულობის გენეტიკური პოტენციის ერთ ორგანიზმში გაერთიანებით.

ცნობილია, რომ ზებუ, ძროხის ევროპულ ჯიშებთან შედარებით, პაპანაქება სიცხისადმი გამძლეობასთან ერთად გამოირჩევა პიროპლაზმიდოზებისადმი და რიგი სხვა დაავადებისადმი ბუნებრივი რეზისტენტობით. მნიშვნელოვანია, რომ ეს თვისებები გაპირობებულია მისი გენოტიპით და ჩვეულებრივ ძროხასთან ჰიბრიდიზაციისას მაღალი განმეორებადობით გადაეცემა შთამომავლობას. აღნიშნული გახდა იმის საფუძველი, რომ მსოფლიოს ცხელი კლიმატური ზონის ქვეყნების სელექციონერებმა გამოიყვანეს სარძეო და სახორცე პროდუქტიული მიმართულების ახალი ზებუსნაირი ჯიშები, რომლებიც მაღალ პროდუქტიულობასთან ერთად ხასიათდებიან ექსტრემალური ეკოლოგიური პირობებისადმი გამძლეობით [3].

ჰიბრიდული ცხოველების მოშენების გამოცდილება გვაქვს საქართველოშიც, სადაც გასული საუკუნის 70-იან 80-იან წლებში მიღებული იქნა სახორცე პროდუქტიული მიმართულების ამერიკული ბრამანის ტიპის კუბური ზებუსა და ევროპული ჯიშების 5000 სულზე მეტი სხვადასხვა გენერაციის ჰიბრიდი. ამ სულადობის ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლამ გვიჩვენა, რომ: ისინი ადვილად ეგუებიან ცხელი კლიმატის პირობებში საძოვარზე შენახვას, პრაქტიკულად არ ავადდებიან პიროპლაზმიდოზებით, ხასიათდებიან ზოგიერთი სხვა დაავადებისადმი (ინფექციური კერატო-კონიუქტივიტი, თურქული, ტრიქოსტრონგილიდოზი) მომატებული რეზისტენტობით, გამოირჩევიან ზრდის მაღალი პოტენციური შესაძლებლობებითა და კარგი საკლავი პროდუქტიულობით [4]. ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ არასპეციფიური იმუნიტეტის მაჩვენებლების მიხედვით ზებუ X შავ-ჭრელი ჰიბრიდები აღემატებიან ხალასჯიშიან შავ-ჭრელ თანატოლებს, რაც შეიძლება ჩაითვალოს ინფექციური აღმძვრელებისადმი მათი ორგანიზმის ბუნებრივი რეზისტენტობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველად [5].

დადგენილია, რომ ხალასჯიშიანი ზებუს ევროპულ ძროხასთან ჰიბრიდიზაციისას გარემო ფაქტორებისადმი მდგრადობის თითქმის ყველა მაჩვენებელი მემკვიდრეულობს მაღალი განმეორებადობით [4, 6]. ამასთან, ხალასი სახით ზებუს ცნობილი სარძეო ჯიშების შეჯვარებაში გამოყენება, შედარებით დაბალი მონაწველის გამო, მისაღები არ არის. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ავსტრალიური მერძეული ზებუ (AMZ), რომელიც მაღალ სარძეო პროდუქტიულობასთან ერთად ხასიათდება კონსტიტუციური სიმაგრით, საძოვრების ათვისების კარგი უნარით, სიცხისადმი ტოლერანტობითა და დაავადებებისადმი რეზისტენტობით. ამ ჯიშში ზებუს სისხლის ხვედრითი წილი მხოლოდ 40%-ია, დანარჩენი 60% კი ჯერსული ჯიშისაა; ადგილობრივ ძროხასთან AMZ-ს შეჯვარებისას ადაპტაციის უნარისა და დაავადებისადმი რეზისტენტობის მემკვიდრეულობისა და ცვალებადობის ხასიათის, აგრეთვე ამ თვისებების პროდუქტიულობასთან კავშირის დეტალურად შესწავლა აუცილებელია, რამდენადაც მიღებულ თაობაში ზებუს სისხლის ხვედრითი წილი შემცირდება 20%-მდე. ამდენად, ჰიბრიდიზაციის შედეგად მიღებულ თაობაში გარემოსადმი მდგრადობის თვისების მაღალი სიხშირით მემკვიდრეულად გადაცემის შესაძლებლობა საჭიროებს შესწავლას, რაც სწორედ შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევის საგრანტო





პროექტის „გარემოსადმი ტოლერანტობისა და პროდუქტიულობის მაჩვენებლების მემკვიდრეობა და ცვალებადობა ავსტრალიურ მერძეულ ზებუსთან ადგილობრივი ძროხის ჰიბრიდიზაციისას“ ამოცანას წარმოადგენს.

კვლევას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს:

- ა) სელექციური თვალსაზრისით, დადგენილი იქნება ჰიბრიდულ ცხოველებში სარძეო პროდუქტიულობის ნიშან-თვისებების მემკვიდრეობისა და ცვალებადობის, აგრეთვე ამ თვისებებსა და ცხოველების გარემოსადმი მდგრადობას შორის ურთიერთკავშირის ხასიათი.
- ბ) მიღებული შედეგები შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ ჰიბრიდი სულადობის სელექციის გზით გაუმჯობესების ძირითადი მიმართულება, რაც მნიშვნელოვანია რძის წარმოების სექტორის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.
- გ) დაავადებისადმი რეზისტენტობის გაზრდა შეამცირებს პროფილაქტიკური და სამკურნალო პრეპარატების გამოყენების აუცილებლობას, რაც ფერმერებს შესაძლებლობას მისცემს აწარმოონ ეკოლოგიურად სუფთა რძე და ძროხის ხორცი;
- დ) პაპანაქება სიცხისადმი ტოლერანტული ცხოველების მოშენების განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოიკვეთება გლობალური დათბობის შედეგად ჰაერის ტემპერატურის მომატების, აგრეთვე ბუნებრივი კატაკლიზმების მიზეზით კლიმატის მკვეთრად ცვალებადობის პირობებში.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი, 2005;
2. საქართველოს სოფლის მეურნეობა (სტატისტიკური პუბლიკაცია), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2012.
3. გოგოლი. ჰიბრიდიზაცია სარძეო მეძროხეობაში. თბილისი, „უნივერსალი“, 2009;
4. გ. გოგოლი. გარემო და ცხოველი; პროდუქტიულობის ეკოლოგიური პრობლემები მეძროხეობაში. თბილისი, “მეცნიერება”, 1997;
5. ლ.ტაბატაძე დასხვ.ხალასჯიშიანი და ნაჯვარი მეწველი ფურების არასპეციფიური იმუნიტეტის ზოგიერთი მაჩვენებელი და მათი კავშირი პროდუქტიულობასთან; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მომამბე“, თბილისი ტომი №16, 2006;
6. გ. გოგოლი, ა. დოღმაზაშვილი. ჯიშთაშორისი ჰიბრიდიზაცია და ხორცის წარმოების ტექნოლოგია მეძროხეობაში. თბილისი, “უნივერსალი“, 2003;

### PERSPECTIVES OF PRODUCTION ECOLOGICALLY PURE MILK USING ZEBU IN THE LOWLAND AREA OF GEORGIA

Gogoli G., Tortladze I., Macharashvili C., Tabatadze I.

Agrarian University of Georgia

Summary

Because of poor adaptation to climate lowland Georgia average milk yield per cow is only 1100-1300 kg. However, a fairly high frequency of infection piroplasmoses animals, which is one reason for the high mortality of animals (6,5-8,2% of total);

Improved adaptive capacity and resistance of animals to the environment can be a basis for increasing the production of ecologically pure milk. In this regard, work is underway on the hybridization of the local cattle breed with Australian dairy zebu (AMZ).





## THE TECHNOLOGY OF PANCAKES WITH BALANCED AMINO ACID COMPOSITION

**Deinychenko L., Peresychnyi M.**  
Kyiv National University of Trade and Economics

*The article systematized and provides general information about nutrition for people with protein deficiency. Proved and developed technology of pancakes with functional purpose and the main indicators of their quality are presented.*

Nowadays there is a deficiency of protein consumption in the world. Approximately half of the 6 billion population of the Earth suffer from lack of protein. People consume in average 60g of protein per day, at a daily rates of 70g. According to the Institute of Nutrition RAMS (Russian Academy of the Ministry of Science), consumption of animal protein products has decreased by 25-35% since 1992 and therefore consumption of the food high in carbohydrates (potatoes, bread products, pasta) has increased. The average rate of protein intake has lowered to 17-22 % - from 47.5 to 38.8 g/day for animal protein. In low-income families the intake of total protein per day does not exceed 29-40g. The total protein deficiency in the world is estimated at 10-25 million tons per year [1,2].

Analysis of the current state of health in Ukraine shows that animal protein deficiency causes an inadequate consumption of three essential amino acids such as tryptophan, methionine and valine.

Methionine is one of the most important nutritional component that cannot be synthesized by an organism. It prevents fatty liver disease, assures liver and kidneys regeneration, helps to prevent atherosclerosis and takes part in the synthesis of adrenaline, creatine, nucleic acids and taurine. In humans methionine converts to cysteine, that is a glutathione precursor, who has the fundamental importance for decontamination of toxins and liver protection. Methionine protects from the effects of radiation and has the capacity to form bonds with metals, such as lead, mercury, cadmium and remove them from the organism. It has a strong antioxidant effect, because it's a source of sulfur, that inactivates free radicals. Sulfhydryl groups of methionine protect cells from substances, that pollutes the air, and transport selenium and zinc through the body [3,4].


Tryptophan takes part in keeping the nitrogen balance at metabolic processes, production of growth hormones by hypophysis and in synthesis a range of biologically active substances: nicotinic acid, serotonin, melatonin and others. Nicotinic acid synthesized from tryptophan, is an important component in energy metabolism. Tryptophan as the precursor of serotonin has anti-depressant effect, contributes to disappearance of anxiety, insomnia, chronic fatigue syndrome, and promotes healthy sleep.

Valine is necessary for metabolism in muscles, tissue damage recovery and maintaining the nitrogen balance in organism. It plays a strong role in treating depression, helps to prevent neurological diseases and treat sclerosis, as it protects the myelin membrane surrounding nerve fibers of cerebrum and spinal cord. It prevents serotonin reduction, lowers the level of sensitivity to pain, regenerate tissue in liver disease. A lack of valine causes the loss of coordination and increases skin sensitivity to varied irritants [5].

The problem of food amino acid balance can be solved by adding marine mollusks protein concentrates, especially mussels and rapana ones, obtained by hydrolysis, such as "Rapamid" hydrolyzate. This product contains more than thirty biogenic micro- and macronutrients, more than 20 amino acids (including all essential ones), essential polyunsaturated fatty acids, taurine, simple peptides and various vitamins complexes. Application of this hydrolyzate has a positive impact on inflammatory processes in organism by reducing the number of lymphocytes, increases hemoglobin content and normalizes the chemical composition of blood, restores and enhances physical performance.



This work represents the use of "Rapamid" hydrolyzate for cooking pancakes with various stuffings that can be added to the diet of people suffering from protein deficiency. The quantity of rational concentration of dietary supplement was determined by analyzing organoleptic characteristics of the



Graph 1. Complex quality indicator of rational concentration of dietary additive for the pancakes semi-

semi-finished pancake model compositions with adding "Rapamid" in amount of 5 - 9% to the weight of milk. All the indicators were estimated on a five point scale. The selected limits are based on the necessity of enriching the dish with protein, nutrients that are important for people suffering from protein deficiency and considering their physiological needs.

The research results established that the use of the hydrolyzate in quantities more than 7% causes deterioration of organoleptic evaluation of pancakes. The comparative analysis of complex quality indicator, based on amino acids digestibility level and essential nutrients

contents, revealed that the rational hydrolyzate quantity is 7.07g (7% to the weight of milk) (Graph 1).

Stuffings for the semi-finished pancakes, enriched by essential nutrients and amino acids, were developed. Complex quality indicator of stuffings and determination of rational concentration of dietary supplement were based on organoleptic evaluation and macro- and micronutrients contents. It is equal to 4,8 grams for the cabbage stuffing (4% of the mass of cabbage), and 6,2g for the buckwheat (12,4% of the mass of buckwheat).

According to results of the search the technology of pancakes "Sarazan" with buckwheat and pancakes "Repoyo" with cabbage was developed.

Amino acid score of the finished product is given in Table 1.

The comparison of cooked dish with the control sample has shown that the amount of selenium increased by 46,1 / 37,6%, potassium – 9,8 / 8,2 %, calcium – 23,6 / 25,1%, iodine – 196,8 / 165,8%, niacin – 46,6 / 7,8%, folacin – 10,5 / 28,8%, vitamin C – 8,4/ 8% for the pancakes "Repoyo" /"Sarazan" accordingly.

Table 1

Amino acid score of pancakes with functional purpose

Denomination	Control 1		Pancakes "Repoyo"		Control 2		Pancakes "Sarazan"	
	mg	%	mg	%	mg	%	mg	%
Isoleucine	21,2	53,0	38,4	96,0	28,2	70,0	40,8	102,0
Leucine	36,5	52,0	89,2	127,0	48,4	69,0	87,0	124,0
Metionyn + cystine	16,5	47,0	99,5	284,0	20,9	60,0	81,8	234,0
Lysine	22,5	41,0	77,2	140,0	32,9	60,0	73,0	133,0
Phenylalanine + tyrosine	39,2	65,0	125,3	209,0	52,1	87,0	153,9	256,0
Threonine	17,2	43,0	54,6	137,0	24,9	62,0	52,4	131,0
Tryptophan	5,4	54,0	18,6	186,0	8,9	89,0	18,6	186,0
Valine	23,0	46,0	57,4	115,0	29,7	59,0	55,0	110,0




The percent of daily value intake of micronutrients, macronutrients and vitamins is given in Table 2.

Table 2

Daily requirement ensuring level for micronutrients, macronutrients and vitamins

Title of nutrients	Daily intake level	% DV	
		Pancakes "Repoyo"	Pancakes "Sarazan"
Na, mg	1300	47,8	52,1
K, mg	2500	17,8	23,2
Ca, mg	1200	17,3	18,3
Mg, mg	300	14,8	66,1
P, mg	1200	14,0	30,4
Fe, mg	15	515,6	536,7
I, mcg	200	29,9	26,8
Se, mcg	50	51,1	65,6
Vitamin A, mg	1000	1,8	1,8
Vitamin E, mg	15	15,9	15,4
Vitamin B1, mg	1,5	9,3	21,3
Vitamin B2, mg	1,8	15,0	18,9
Folacin, mcg	200	5,9	7,0
Niacin, mg	20	14,0	24,1
Vitamin C, mg	80	81,2	10,6

According to the results of the calculations a complex quality indicator of pancakes with functional purpose increased by 30% for pancakes "Repoyo" and by 31% for pancakes "Sarazan" in comparison with control (Graph 2).



Graph 2. Complex quality indicator of pancakes with functional purpose in comparison with control

Summarizing the results of the search, developed pancakes with balanced amino acid composition can be considered to be the functional purpose dish. Containing a high content of essential amino acids, minerals and vitamins it can be recommended for diet of people suffering from protein deficiency. The dish has a high quality grade, that indicates its usefulness and competitive ability.



#### References:

1. Strygac A.G. *The use of food hydrocolloids in technology of half-finished pancakes: Monograph/* Strygac A.G., Lisyuk G.M., Kucheryuk Z.I.; Kharkiv State University of Food Technology and Trade.-K.:KSUFT, 2009.- 104 p.
ბალზამ „გრაალის“ მცენარეული ნაკრები კომპონენტების ქიმიური შემადგენლობა.

მცენარეული ნაკრების დასახელება	ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები	
	ძირითადი	თანამდევნი
ბერძნული კაკლის ფოთლები	ოქსინაფტოქინონი, იუგლონი, ტანი-ნები-4-5%	ფლავონოიდები, ტერპენოიდები, ინოზიტი
კავკასიური დეკას ფოთლები	ტანინები 5-14%, ფლავონოიდები.	ორგანული მჟავები, ვიტამინი C
ხურმის ფოთლები	შემკვრელი ნივ-ბი 1,5-4,3% ალფატიურონიები, პოლიფენოლების კომპლექსი	ტერპენოიდები, ორგანული მჟავები
ლელვის ფოთლები	კუმარინები, ეთერზეთები, ფლავონოიდები, მათ შორის რუთინი	ტრიტერპენოიდები, შემკვრელი ნივთიერებები 2 %-მდე
ორთოსიფონის ფოთლები	ტრიტერპენული საპონინები	ორგანული მჟავები, სტეროიდები, შემკვრელი ნივთიერებები 5-6 %-მდე
პოლ-პალას ბალახები	ფლავონოიდები - კემპფეროლის წარმოებული	პოლისაქარიდები, მჟავები
მწვანე ჩაი	შემკვრელი ნივთიერებები 28%-მდე, კატექინები, კოფეინი 5%-მდე	ეთერზეთები, ვიტ.C, ნიკოტინის და სხვა მჟავები
მუხის ქერქი	ტრიტერპენული საპონინები	ნახშირწყლები, სტერინები, ვიტამინები
ვენშენის ფოთლები	ტრიტერპენული საპონინები	ფლავონოიდები, ტრიტერპენოიდები, სტეროიდები
ელეუტეროკოკის ფესურები	სტეროიდები, ლიგნინები	იზოკუმარინები, ეთერზეთები, მჟავები
ფეიხოსას ნაყოფი	ორგანულად შეკავშირებული იოდი	პექტინები, ეთერზეთები, ორგანული მჟავები

ცხრილი 2

ბალზამ „გრაალის“ მცენარეული ნაკრების ქიმიური მაჩვენებლები და მათი ცვალებადობა შენახვის პროცესში ( 5 სერიის საშუალო)

სერიის №	მაჩვენებლების დასახელება						
	ფლავონოიდები%	არბუთინი%	ექსტრაქტული ნივთიერებები %	ტენიანობა %	საერთო ნაცარი %	უხსნადი ნაცარი %	შენახვის ხანგრძლივობა თვე
	0,73	0,21	29,69	10,40	11,82	2,96	-
1	0,71	0,22	29,92	9,92	12,0	3,06	6
2	0,72	0,21	29,74	9,91	12,0	2,98	12
3	0,71	0,22	29,68	9,86	11,96	3,02	18
4	0,70	0,21	29,94	9,58	12,04	3,02	24
5	0,71	0,22	29,71	9,54	12,02	3,0	30

მცენარეული ნედლეულის ნაკრების შენახვის ოპტიმალურ ვადად დადგენილია 3 წელი.

ჩაგატარეთ გამოკვლევა ფლავონოიდების შემცველობაზე. შემუშავებულია ფლავონოიდების რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდიკა, რომელიც დამყარებულია ალუმინქლორთან კომპლექსწარმოქმნის რეაქციის შემდგომ გადაანგარიშებისა რუთინზე [1, 2].





შემუშავებული მეთოდის მეტროლოგიური მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილში 3–ში.

ცხრილი 3

ბალზამ „გრაალის“ მცენარეულ ნაკრებში ფლავონოიდების რაოდენობრივი განსაზღვრის მეტროლოგიური მახასიათებლები

ცდის №	მონა-ცემები	f	$\bar{X}$	p,%	t <sub>(p,f)</sub>	s	ε
1	0,93	0	0,89	95	2,57	0,02915	3,764
2	0,87	1					
3	0,87	2					
4	0,90	3					
5	0,86	4					

ამრიგად, შესწავლილია ბალზამი „გრაალის“ მცენარეული ნაკრების ქიმიური შეადგენლობა და მისი ცვლილების დინამიკა შენახვის პროცესში. შემუშავებულია ფლავონოიდების განსაზღვრის მეთოდი და ნაჩვენებია მისი მაღალი მეტროლოგიური საიმედოობა, გაზომვის ცდომილების არაუმეტეს 3,76 % სიდიდით.

#### ლიტერატურა

1. Tinctura composita pro balsamo „Graal“. ΦC490/00 Грузии-2000.
2. Species pro balsamo „Graal“. ΦC489/00 Грузии-2000.

### DETERMINATION OF CHEMICAL COMPOSITION OF VEGETABLE COMPONENTS OF THE BALM “GRAAL” AND ITS CHANGE DURING STORAGE

Tskipurishvili T., Melkadze R., Tsagareishvili D.

Akaki Tsereteli State University

#### Summary

The paper dwells on studies of chemical composition of vegetable components of the balm “Graal”, as well as its changing dynamics during storage. The period of three years is established as an optimal storage period. There are also considered the metrological characteristics of determination of the amount of flavonoids. There is shown high metrological reliability, and the measurement error does not exceed 3,76%.

### მშრალი (ხილის) უალკოჰოლო სასმელების წარმოების ტექნოლოგია

ძნელაძე გ., ხუციძე მ.\*

შპს “გეოპლანტი”, \*შპს „გეო-ფლაუერი“

შესწავლილი იქნა ზოგიერთი სახის ადვილობრივი ველური წარმოშობის მცენარეული ნედლეულის ბაზაზე მშრალი სასმელების მიღების შესაძლებლობა. ანალიზმა გვიჩვენა, რომ საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეული, რომლებიც მალფუჭებადია, მისგან ტექნოლოგიური გადამუშავებით შესაძლებელი ხდება მიღებული იქნას ხანგრძლივი შენახვის პროდუქტები, რომლებშიც მაქსიმალურადაა შენარჩუნებული ნედლეულში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები. ამასთან დაკავშირებით დამუშავდა სასმელის მიღების ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს: ნედლეულის დამზადებას, ნედლეულის დამუშავებას შრობისათვის, ნედლეულის შრობას და ნახევარფაბრიკატის დაფასობას.

საქართველო, თავისი გეოგრაფიული, ნიადაგობრივი და კლიმატური პირობების წყალობით, ოდითგანვე ცნობილია ველური წარმოშობის საკვებ-სამკურნალო ნედლეულის მრავალფეროვნებით, რომლებიც უსოვარი დროიდან გამოიყენებოდა, როგორც სა-



სურსათო პროდუქტებად, ასევე სხვადასხვა სახის დაავადებათა სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულებისათვის. აღსანიშნავია ის, რომ ბოლო წლებში მსოფლიო ჯანდაცვის სპეციალისტთა მიერ განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ისეთი ყოველდღიური კვების პროდუქტების ტექნოლოგიების შექმნა-დამუშავებაზე, რომელთა საწინდელეულო ბაზად გამოყენებული იქნება, როგორც კულტურული, ასევე ისტორიულად ცნობილი ველური წარმოშობის საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეული (1, 2). მოცემული ნაშრომი ეძღვნება აღნიშნული მიმართულებით კვლევითი მუშაობის ჩატარებას და ის აქტუალურია ისეთი ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო, ქვეყანა, რომელსაც უდიდესი რეზერვი გააჩნია აუთვისებელი ველური წარმოშობის საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის სახით.

კვლევის მიზანი, ობიექტი და მეთოდიკა: კვლევის მიზანია ადგილობრივი ველური საკვებ-სამკურნალო მცენარეების (ფურისულა, ანწლი, მოცვი, ასკილი, გარეული ვაშლი და მსხალი) ბაზაზე მშრალი უაღკოპოლო სასმელების მიღების ტექნოლოგიების დამუშავება და სასმელების სამომხმარებლო-საგემოვნო თვისებების გამოკვლევა. ექსპერიმენტი ტარდებოდა ამბროლაურში არსებულ შპს „გეო-ფლაურის“ საწარმოში, საკვლევი ნედლეული მზადდებოდა რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე. კვლევებისა და ექსპერიმენტების ჩასატარებლად ვსარგებლობდით ლაბორატორიული ხელსაწყოებითა და არსებული მანქანა დანადგარებით. ნედლეული, ნახევარფაბრიკატი და მზა პროდუქტი ისწავლებოდა ორგანო-ლექტიკური და ზოგიერთი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით (3).

ექსპერიმენტის შედეგები: ყოველი სახის მცენარეული ნედლეული ტექნოლოგიური გადამამუშავებისათვის საჭიროებს დამზადების პროცესში ზოგიერთი წესების დამუშავება-დაცვას. მოცემულ შემთხვევაში შესწავლილი და დაზუსტებული იქნა საკითხები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საკვლევი ხარისხიანი პროდუქტის მისაღები ნედლეულის დამზადებასთან. მაგალითად: ცნობილია, რომ მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე ფურისულას სამკურნალოდ იყენებენ მცენარის ყველა (ფესვი, ძირი, ფოთლი, ყვავილი) ნაწილს, მაშინ, როცა ჩვენი კვლევის ობიექტია მცენარის ფოთლები და ყვავილები. ამასთან დაკავშირებით მცენარის ყვავილობის პერიოდის გამო ნედლეულის დამზადება ხდება ივნის-ივლისის თვეებში. დამზადებული ნედლეულის ტრანსპორტირება კი ხის ყუთებით. ყუთში მოთავსებული მასა არ უნდა დაიტკეპნოს და მისი წონა არ უნდა აღემატებოდეს 15 კგ-ს; ანწლის, მოცვის და ასკილის ნაყოფების კრეფისას საჭიროა მშრალი ამინდი, კრეფის პერიოდია აგვისტო-ოქტომბერი. ნაყოფების გადასახიდად გამოყენებული უნდა იქნას ისეთი ტარა, რომელიც ტრანსპორტირების პროცესში დამზადებულ ნაყოფებს დაიცავს წვენი დაღვრისაგან. ტარაში ნაყოფის წონა არ უნდა აღემატებოდეს 30 კგ-ს. მოცვის მცენარიდან გარდა ნაყოფებისა მზადდება მოცვის ფოთლი, რომლის კრეფა უნდა განხორციელდეს მაის-ივნისის თვეში. ფოთლის ტრანსპორტირება მოხდება მსგავსად ფურისულას ფოთლებისა; გარეული ვაშლისა და მსხლის ნაყოფები მზადდება სექტემბერ-ოქტომბერში. დამზადებული ნაყოფების ტრანსპორტირება შესაძლებელია, როგორც ხის ყუთებით აღჭურვილი ავტომანქანით, ასევე უტარო გადაზიდვის (სპეციალური ძარის მქონე) მანქანით. წინასწარ ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე დადგინდა იქნა, რომ დამზადებული საკვლევი ნედლეულიდან ფურისულას ფოთლები, ასკილის, მოცვის და ანწლის ნაყოფები პირდაპირ მიდის შრობაზე, ხოლო მოცვის ფოთლები, გარეული ვაშლისა და მსხლის ნაყოფები შრობამდე საჭიროებს წინასწარ დამუშავებას. აღმოჩნდა, რომ შრობის პროცესის დაჩქარების, გაადვილებისა და ნახევარფაბრიკატის კარგი სასაქონლო სახის მიღების მიზნით ყველაზე კარგი შედეგი მიიღება მაშინ როცა ვაშლისა და მსხლის ნაყოფები იჭრება თანაბარი ზომის თხელ ფირფიტებად. დამუშავდა მოცვის ფოთლის გადამამუშავების ტექნოლოგია, რომე-



ლიც ითვალისწინებს ფოთლის ბუნებრივ ღნობას 65-66% ტენშემცველობამდე, მომღნარი ფოთლის დაჭრას (ჩაის მჭრელზე), დაჭრილი მასის ფერმენტაციას 1-1,5 სათის ხანგრძლიობით, ფერმენტირებული ფოთლის შრობას ხელოვნური შრობის მანქანაზე.

შესწავლილი და დადგენილი იქნა ყველა სახის საკვლევი ნედლეულის შრობის ოპტიმალური ტემპერატურა და გამშრალი ნახევარფაბრიკატის ტენშემცველობა. კვლევის შედეგები მოტანილია ცხრილში 1.

ცხრილი 1.

ნედლეულის შრობის ტემპერატურა და ნახევარფაბრიკატის ტენშემცველობა

ნედლეულის დასახელება	შრობის ტემპერატურა გრადუსი	ნახევარფაბრიკატის ტენშემცველობა, %
1.ფურისუღას ფოთოლი	80-85	არა უმეტესი 8,0
2.ანწლის ნაყოფი	70-75	არა უმეტესი-15,0
3.მოცვის ნაყოფი	70-75	არა უმეტესი-15,0
4. ასკილის ნაყოფი	70-75	არა უმეტესი-14,0
5. მოცვის ფოთოლი	80-85	არა უმეტესი-8,0
6. გარეული ვაშლი	70-75	არა უმეტესი 14,0
7. გარეული მსხალი	70-75	არა უმეტესი-14,0

პირველი ცხრილის მონაცემებით დასტურდება, რომ შპს „გეო-ფლაუერის“ საწარმოში არსებული ხელოვნური საშრობი მანქანით გამშრალი ყველა ნახევარფაბრიკატი ტენშემცველობის მიხედვით ტექნოლოგიურ ნორმაშია, რაც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მშრალი ხილის ხანგრძლივი შენახვის დროს.

დამუშავებული ნახევარფაბრიკატები გამოიყენება უალკოჰოლო სასმელების მისაღებად, რომელიც მომხმარებელს მიეწოდება დაფასოებული სახით. მომხმარებელი მას მოიხმარს ისე, როგორც ბაიხის ჩაის პროდუქციას. ეტიკეტზე სხვა მანვენებლებთან ერთად მითითებული ინება მოხმარების წესი, რომელიც დამუშავებულია შპს „გეო-ფლაუერის“ სპეციალისტთა მიერ.

დასკვნა: 1. დამუშავდა ადგილობრივი ველური მცენარეული ნედლეულის ბაზაზე მშრალი უალკოჰოლო სასმელების მიღების ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ნედლეულის დამზადება-ტრანსპორტირებას, ნედლეულის დამუშავებას, ნედლეულის შრობას და დაფასობას. ტექნოლოგია უზრუნველყოფს მიღებული იქნას ხანგრძლივი შენახვის ნახევარფაბრიკატი, რომელიც მოიხმარება უალკოჰოლო სასმელის მისაღებად მსგავსად ბაიხის ჩაების პროდუქციისა.

2. სანედლეულო ბაზა და კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა საქართველოში განხორციელდეს ახალი სახის სასურსათო პროდუქტების წარმოება, სადაც გამოყენებული იქნება ადგილობრივი საკვებ-სამკურნალო, როგორც კულტურული, ასევე ველური მცენარეული ნედლეული.

**ლიტერატურა:**

1. ს. ა. ჩაგელიშვილი, მ. კ. გოგორიშვილი. საქართველოს სამკურნალო მცენარეები და მათი გამოყენება. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1991 წ. გვ.146.
2. ლია ნოეს ასული კოპალიანი. საქართველოს სამკურნალო მცენარეები. უძველესი და თანამედროვე ფიტოთერაპია. მეორე გამოცემა. საგამომცემლო ცენტრი, ქ. ქუთაისი, 2002წ. გვ.379.
3. ჯინჯოლია რ. გულუა კ. ჩიქოვანი ნ. ჩაის ქიმიის პრაქტიკუმი. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი. 1983 წ. გვ. 159.

**TECHNOLOGY OF PRODUCTION DRIED (FRUITS) SOFT DRINKS**

**Dzneladze G., Khutsidze M.\***

Agrarian University of Georgia, \* Ltd Geoflower  
Summary



Developed technology of dried soft drinks production, where the base of raw materials is local wild food-herbal plants. It was found that the result of research and the base of raw materials enables to be created production unit in Georgia where will be implemented production of food products on the base of herbal raw materials.

## მატონიზირებელი, ფუნქციონალური სასმელის წარმოების ტექნოლოგია

ძნელაძე ზ., გობრონიძე ე., ძნელაძე გ.

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

*შერჩეულია მატონიზირებელი სასმელის მისაღები ნედლეული [მწვანე ჩაი, ანწლის და მოცვის ნაყოფები], რომლის ბაზაზე დამუშავდა სასმელის მიღების ტექნოლოგიური რეგლამენტები. აღმოჩნდა, რომ სასმელში საკვლევი ნედლეულის გამოყენება ხდება მათგან მიღებული სპირტული და წყლიანი ექსტრაქტის სახით. კვლევის საფუძველზე შესწავლილია სასმელის ორგანო-ლეპტიკური და ფიზიკო-ქიმიური მახვენებლები, რომლებიც პასუხობებს გოსტ28188 მოთხოვნებს .სასმელი, მასში შემავალი [მწვანე ჩაი, ანწლი, მოცვი] ნედლეულის ქიმიურ ნივთიერებათა შემცველობის წყალობით ხასიათდება ფუნქციონალური თვისებებით(1)*

უაღკოპოლო სასმელების ასორტიმენტში საკვებ-სამკურნალო მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული სასმელი მთელი რიგი უპირატესობით სარგებლობს, უპირატესობა აიხსნება იმით, რომ მათ საკვებ გამაგრებელ, საგემოვნო და სხვა თვისებებთან ერთად გააჩნიათ ამა თუ იმ დაავადებათა სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებები (1) აღსანიშნავია ის, რომ ამ ტიპის სასმელების შექმნას პირველად საფუძველი ჩაეყარა ჩაის, სუბტროპიკულ კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში კვლევებით და დასტურდა აღნიშნული მიმართულებით საკითხის, როგორც მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება, ასევე ქვეყნისთვის მისი სოციალური და ეკონომიური მნიშვნელობა(2). აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა კულტურული და ველური საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის რესურსით, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა სახის უაღკოპოლო მატონიზირებელი სასმელების მისაღებად(1) წინამდებარე შრომა ითვალისწინებს ჩაისთან ერთად საქართველოში ფართოდ გავრცელებული ველურად მზარდი ანწლისა და მოცვის ნაყოფების გამოყენებას.

კვლევის მიზანი, ობიექტი და მეთოდიკა: კვლევის მიზანია ადგილობრივი საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ბაზაზე მატონიზირებელი, ფუნქციონალური თვისებების მქონე უაღკოპოლო სასმელის მიღების ტექნოლოგიური რეგლამენტების შესწავლა-დამუშავება; კვლევის ობიექტს წარმოადგენს: მწვანე ჩაი, ანწლის და მოცვის ნაყოფები, ეთილის 96%-იანი სპირტი, სასმელი წყალი, სპირტული და წყლიანი ექსტრაქტები, სახაროზა, შაქრის სიროპი, კოლერი და ბუნებრივი მცენარეული არომატიზატორები; ნედლეულის ექსტრაქცია ხდება ორჯერადად დიფუზიური წესით. პირველი-ეთილის 96%-იანი სპირტით, მეორე-სასმელი წყლით. ექსტრაქციამდე ნედლეული მუშავდება წყლით სრულ გაჯირჯვებამდე. ექსპერიმენტალური და ლაბორატორიული კვლევების შედეგად მიღებული ნიმუშები ისწავლება სტანდარტული მეთოდების გამოყენებით(3).

შესწავლილი იქნა საექსტრაქციო ნედლეულის ექსტრაქციის ხანგრძლიობა, ნედლეულისა და ექსტრაგენტის თანაფარდობა. აღმოჩნდა, რომ სპირტული ექსტრაქციის შემთხვევაში ექსტრაქციის ხანგრძლიობა უნდა იყოს არა ნაკლები 10 დღისა, ხოლო თანაფარდობა ნედლეულისა და სპირტის: ჩაის შემთხვევაში-1:1,5; მოცის-1:1თან და ანწლის 1:1თან; წყლით ექსტრაქციის ხანგრძლიობა არა უმეტესი 24 საათისა, ხოლო თანაფარ-





დობა ნედლეულისა და წყლის სამივე სახის ნედლეულის შემთხვევაში 1:1,5-თან გაფილტრული სპირტული ექსტრაქტი გამოიყენება ინგრედიენტთა კუპაჟის დროს, ხოლო წყლიან ექსტრაქტზე მზადდება კოლერის და ლიმონმჟავას ნარევის ხსნარი, რომელიც გამოიყენება კუპაჟში. ექსპერიმენტით დადგინდა, რომ 100დალი სასმელის მისაღებად ნარევი (ჩაის ექსტრაქტი, კოლერი, ლიმონის მჟავა) კომპონენტების ოპტიმალური წონითი (კგ-ში) თანაფარდობაა 4:3:1-თან. სასმელის მისაღები ნედლეულის (ანწლი, მოცვი) საგემოვნო და არომატული თვისებების შერწყმასთან დაკავშირებით ყველაზე კარგი შედეგი მიღებული იქნა ჟოლოს ბუნებრივი არომატის გამოყენების შემთხვევაში. ჩატარებული კვლევის საფუძველზე დამუშავდა სასმელის მისაღები რაციპტურა (შაქარი, სპირტული ექსტრაქტი, წყლიანი ექსტრაქტი, კოლერის და ლიმონმჟავას ხსნარი, ჟოლოს არომატიზატორი, ნატრიუმის ბენზოატი, ნახშირორჟანგის გაზი და წყალი), რომლის ბაზაზე მიღებული იქნა ლაბორატორიული ნიმუშები. ნიმუშების კვლევის შედეგები მოტანილია ცხრილ 1-ში.

ცხრილის მონაცემებით ახალი სასმელი ყველა მაჩვენებელით შეესაბამება მცენარეულ ნედლეულზე დამზადებულ მატონიზირებელი, გაზირებული, გამაგრილებელი სასმელის ჯგუფს და პასუხობს საერთაშორისო სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს მწვანე ჩაის, ანწლის და მოცვის ნაყოფების ბაზაზე დამუშავდა

ახალი სახის მატონიზირებელი, გაზირებული, გამაგრილებელი სასმელის მიღების ტექნოლოგია. სასმელის ორგანოლექტიკური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები პასუხობს გოსტ 28188-ას მოთხოვნებს და კვებით ღირებულებასთან ერთად გააჩნია ფუნქციონალური თვისებაბი.

ცხრილი 1.

მატონიზირებელი სასმელის ორგანოლექტიკური და ზოგიერთი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების დახასიათება

ორგანოლექტიკური მახასიათებლები	ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები
1. ფერი-ღია შინდის ფერიდან მუქი შინდის ფერამდე	1.მშ.რალი ნივთიერების მასური წილი%(რეფრაქტომეტრით) 11,8±0,2
2. გემო-მოტკბო სასიამოვნო ანწლისა და ჩაის	2. მჟავიანობა, ნატრიუმის ჰიდროჟანგის ხსნარი სმ <sup>3</sup> -ში, კონცენტრაციით 1მოლი/დმ <sup>3</sup> -ში (100სმ <sup>3</sup> ) სასმელზე -1,2±0,3
3.არომატი-გამოხატული ანწლის	3. ნახშირორჟანგის გაზის მასური წილი არა ნაკლები-1,4
4. გარეგანი სახე-გამჭვირვალე უნაღვესო სითხე, უცხო მინარეგების გარშე	4. მდგრადობა, დღე-ღამე, არანაკლები-90

**ლიტერატურა:**

1. ს. ჩაგელიშვილი; მ. გოგორიშვილი. საქართველოს სამკურნალო მცენარეები და მათი გამოყენება. გამომცემლობა "მეცნიერება" თბილისი. 1991.
2. ზ. ძნელაძე. ჩაის ახალი სახის პროდუქტების ბიოქიმია, ტექნოლოგია. გამომცემლობა "მერიდიანი" თბილისი 2009.
3. რ. ჯინჯოლოა, კ. გულუა, ნ. ჩიქოვანი. ჩაის ქიმიის პრაქტიკუმი. თბილისი "განათლება" 1983.

**TECHNOLOGY OF SOFT AND FUNCTIONAL DRINK**  
**Dzneladze Z., Gobronidze E., Dzneladze G.**

Summary

Selected raw material of the soft drink (green tea, elder and bilberry). Which base worked out the technology of receiving drink.

On the base of the research, study and worked out organic and physical-chemical indicators of o drink. The drink with his raw material cheracted with the functional qualities.





სექცია

SECTION

СЕКЦИЯ

3

კვების წარმოების თანამედროვე

პროცესები და მოწყობილობები

MODERN PROCESSES AND EQUIPMENT OF FOOD  
PRODUCTION

СОВРЕМЕННЫЕ ПРОЦЕССЫ И ОБОРУДОВАНИЕ  
ПИЩЕВЫХ ПРОИЗВОДСТВ

## ბაზრქვევის დისკუსიულობა ჰაერის ადიაბატურ დატენიანებაში და მარტივი კონსტრუქციის ჰაერდამტენიანებელი

ანდლულაძე ზ., დოლიძე ბ., ჯაყელი ე., ნიკოლაიშვილი ლ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

როგორც პრაქტიკამ აჩვენა მნიშვნელოვანი უპირატესობით ხასიათდება მბრუნავ გაფრქვევითი დამტენიანებლები, რომლებიც სხვადასხვა მუშაობის პრინციპით და კონსტრუქციით მზადდება. მათი პრაქტიკული გამოყენების ანალიზი ადასტურებს, რომ წყლის დისპერსიულობის დონის მანქანებლებით უმეტესობას სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია.

ჩვენს დამუშავებულ ჰაერდამტენიანებელს გააჩნია მონოდისპერსიულობის მაღალი დონე, განსხვავდება კონსტრუქციული სიმარტივით და მუშაობაში საიმედოობით, აქვს, როგორც ხელით, ისე ავტომატურ რეჟიმში მუშაობის შესაძლებლობა. ტექნიკური მახასიათებლებით ჰაერდამტენიანებელს გააჩნია გამოყენების ფართო არეალი.

სოფლის მეურნეობასა და მრეწველობის სხვადასხვა დარგებში ხშირად გვხვდება ისეთი საწარმოო პროცესები, რომლებიც ტექნოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროებს მიკროკლიმატის შექმნას, რაც ძირითადად ჰაერის ტენიანობის გარკვეულ დონეზე დამყარებას გულისხმობს. ჩაის, თამბაქოს, ტყავის, აბრეშუმის და სხვა საწარმოებში, ასევე სანერგე და სასათბურე მეურნეობებში, ფართოდ იყენებენ ადგილობრივ და ცენტრალიზირებულ დატენიანების დანადგარებს და სისტემებს.

ჰაერის იზოთერმული და ადიაბატური დატენიანების სისტემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ენერჯის მაღალი მოხმარების გამო (0.7 კვტ 1კვ ტენი სთ-ში), კონსტრუქციის სიმარტივით, უხმაურობით და ჰიგიენური თვალსაზრისით, ორთქლის დამტენიანებლები ბევრად ჩამორჩება გაფრქვევის პრინციპზე მომუშავე დამტენიანებლებს. გარდა ამისა ტენის აორთქლებასთან ერთად მიმდინარეობს ჰაერის ადიაბატური გაგრილება, რაც ცალკეული შემთხვევებისთვის საშუალებას იძლევა, ხელოვნური სიცივის გამოყენების გარეშე, დატენიანებასთან ერთად განხორციელდეს ჭარბი სითბოს ასიმილაცია.


თანამედროვე გაფრქვევის აპარატებში, რომლებიც ძირითადად ჰიდრავლიკური ფარსუნკებისა და მბრუნავი დისკების სახით მზადდება, წარმოქმნილი წვეთის ზომა 10–50



მკნ-ის ფარგლებშია და მათი უმეტესი რაოდენობა (90%-მდე) დატენიანების ობიექტის მოცულობით ზღვრებში ორთქლდება.

ჰიდრაულიკური მფრქვევანები ძირითადად მაღალ წნევაზე მუშაობენ. მასში წვეთ-წარმოქმნის მექანიზმი ეფუძნება წყლის აკის არარეგულარულ რღვევას, რომელიც ფორმირდება 0,15–0,20 მმ დიამეტრის მქონე საქშენიდან გამოსვლისას. ამ დროს ყალიბდება წვეთების დისპერსიული სისტემა, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს მსხვილ ფრაქციებსაც (ნახ.1). დამტენიანებელი დანადგარის მწარმოებლობის რეგულირება მიიღწევა თანამონაცვლეობით ჩართული მფრქვევანები რაოდენობის ცვლილებით, რაც დამატებით ითხოვს მართვის ბლოკს და შესაბამის ხარჯებს.

როგორც ნახაზიდან ვხედავთ, მფრქვევანიდან გამოსვლისას წყლის ჩირაღდანს აქვს კონუსის ფორმა. რამდენიმე გამფრქვევის ერთად მუშაობისას ხდება ჩირაღდნების კვეთა და წვეთების ურთიერთ დაჯახება, რის შედეგად უფრო მცირდება გაფრქვევის ინტენსიულობა და ყალიბდება არაერთგვაროვანი დატენიანების ზონები. ყოველი უფრო ართულებს დატენიანების რეგულირებას და ამცირებს მის



ნახ.1 წყლის აკის რღვევა ფარსუნკიდან გამოსვლისას და წყლის ჩირაღდნების ურთიერთკვეთის ზონების ფორმირება დატენიანების ობიექტზე მაღალი წნევის მფრქვევანების და მასში წყლის შემავალი სისტემის ღირებულება მაღალია. მიუხედავად იმისა, აღნიშნული სისტემა ითხოვს მაღალი სიმტკიცის მასალებს, მფრქვევანებს და სხვადასხვა ტიპის ელემენტებს (კლაპანები, ვენტილები და ა.შ.), ისინი ხშირად ცვთება და ექსპლოატაციის პროცესში ითხოვს გამოცვლას. სათადარიგო ნაწილების შექმნა და გამოცვლა კი საკმაოდ ძვირია.

მონოდისპერსიულობის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს დისკურ მბრუნავ გამფრქვევებს, წლის ხარჯისა და ბრუნთა რიცხვის სხვადასხვა თანაფარდობისა, წვეთ-წარმოქმნისა და მონოდისპერსიულობის ხარისხი მათ განსხვავებული აქვთ.

წყლის მცირე ხარჯის დროს (0.1 ლ/სთ) და ბრუნვის დაბალ სიჩქარეზე (1000 ბრ/წთ-მდე) დისკის ნაწიბურებიდან გაფრქვევა ხდება მსხვილი მონოწვეთების სახით. დაბალი მწარმოებლობის გამო აღნიშნული რეჟიმის გამოყენებას პრაქტიკულად არ მიმართავენ. ბრუნვის სიჩქარის 3000ბრ/წთ –მდე გაზრდით დისკის ნაწიბურებიდან წნევით გამოძავალი ჭავლი იშლება უფრო მცირე, ე.წ. „მეორადი“ (დაახლოებით ერ-




თნაირი) ზომის წვეთებით.

ჭავლიანი რეჟიმი უფრო მწარმოებლურია (2 ლ/სთ-მდე ) ,მაგრამ არამდგრადი და არა რეგულირებადი.

დინამიური ბალანსის გაუარესების დროს, დისკის ზედაპირზე წყლის მიწოდების უწყვეტობის დარღვევისას, ასევე წარმოქმნილი ჰაერის ნაკადის ზემოქმედებით და ა.შ. ხდება წყლის დაშლა აპკის სახით და ყოველივე აღნიშნულით ირღვევა წვეთწარმოქმნის ხელშემწყობი სისტემა.

ცნობილია, ასევე ფოროვანი მბრუნავი გამფრქვევები. აქ წვეთწარმოქმნის პრინციპულად სულ სხვა მექანიზმია. ასეთი გამფრქვევის სქემა მოცემულია ნახ.2-ზე.

ეს არის ელექტროძრავის დერძზე დასმული ფოროვანი ცილინდრი, რომელიც შედგება მარცვლოვანი მასალისაგან. მის შიგა ზედაპირს თანაბრად (ლამინარული რეჟიმით) მიეწოდება სითხე. ცენტრიდანული ძალების ზემოქმედებით, სითხე იფილტრება ცილინდრის კაპილარულ-ფოროვანი კედლის გავლით და წვრილწვეთოვანი ჭავლის სახით გამოიფრქვევა ცილინდრის ზედაპირიდან.



ფოროვანი ცილინდრი

ნახ.2. წვეთწარმოქმნა ფოროვან მბრუნავ გამფრქვევში

მუშაობის პროცესში, ცენტრიდანული ძალისა და დისკებს შორის წარმოქმნილი ჰაერის ნაკადის ერთობლივი ზემოქმედებით, ჰაერდამტენიანებელი მოწყობილობის გარშემო 3-5 მ რადიუსში იქმნება ბუნებრივი ნისლის იმიტაცია.

მოწყობილობა კონსტრუქციულად მარტივია და მისი დამზადება შესაძლებელია მცირე მექანიკურ სახელოსნოებშიც. იგი ექსპლოატაციის დროს ავლენს მაღალ ტექნოლოგიურ შემსრულებლობას და ტექნიკურ საიმედობას. შესაძლებელია მისი მუშაობა, როგორც ხელით მართვის, ისე ავტომატურ რეჟიმში.


ჩვენს მიერ დამუშავებულია მოწყობილობის ავტომატურ რეჟიმში მუშაობის სქემა (ამ ნაშრომში არაა განხილული), რომელიც უზრუნველყოფს შენობაში ფარდობითი ტენიანობის განსაზღვრულ ზღვრებში დამყარებას და შენარჩუნებას. ზოგადად იგი ემყარება შემდეგს: ავტომატური მართვის ელექტრულ სქემაში ჩართულია ტენიანობის მზომი ხელსაწყო ისე, რომ როცა შენობაში ფარდობითი ტენიანობა მიაღწევს ზედა ზღვრულ დონეს ჰაერდამტენიანებელი.

გაითიშება და არ ჩაირთვება მანამ, სანამ ფარდობითი ტენიანობა არ დაიწევს წინასწარ განსაზღვრულ ქვედა დონემდე. შენობაში ტენიანობის ქვედა და ზედა ზღვრებს შორის დიაპაზონი შერჩეულია ისე, რომ ძრავის ჩართვა-გამორთვის სისშირე არ იყოს დასაშვებზე მეტი. (მაგ.20-30 წუთი)

შენობაში მოწყობილობა ყენდება ძირიდან მაღლა ისე, რომ გამოფრქვეული წყლის ჩირაღდანი მოიცავდეს შესაძლებლად მეტ მოცულობით სივრცეს. იგი შეიძლება დაყენდეს და მუშაობდეს, როგორც უძრავად, ისე მოძრავ რეჟიმში.



ჰაერდამტენიანებელი მოწყობილობა (იხ.ნახ 3) შედგება ორი, პარალელურად განლაგებული დისკისაგან, რომლებიც მთელ წრიულ პერიმეტრზე ქმნიან გამომავალ ყელს. მათგან ერთი დისკი (6) დასმულია მბრუნავ ღერძზე და აღჭურვილია ფრთებით, ხოლო მეორე (1) უძრავადაა დამაგრებული ძრავის (7) კორპუსზე. დისკებს შორის, ძრავის ღერძზე დაყენებულია წრიული ფორმის ჯაგრისი (3), რომელსაც გაფრქვევისათვის წყალი მიეწოდება შემომავალი შტუცერიდან (8). თავის მხრივ ჯაგრისი წარმოადგენს 0,5–0,8 მმ დიამეტრის მქონე, მყიფე უქანვი ლითონის, ან პოლიმერული მასალის წნელოვან ანაწყოებს, რომელიც მუშაობის პროცესში ქმნის წრიული ფოროვანი სიბრტვის იმიტაციას.



ნახ.3.მარტივი კონსტრუქციის ჰაერდამტენიანებელი

მოწყობილობის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: წყალი შტუცერის (8) გავლით მიეწოდება ჯაგრისს (3), რომელიც ქმნის რა წყალთან შეხების საკმაოდ დიდ სიბრტყეს, ინტენსიურად შლის მას უწვრილეს ნაწილაკებად და დისკებს შორის არსებული ყელის (4) გავლით, მთელ პერიმეტრზე გამოიფრქვევა გარეთ. დარჩენილი მსხვილი წვეთების დაშლას ხელს უწყობს მათი მეორადი მოხვედრა მრუნავ დისკზე (1) დატანებულ ფრთებთან (2).

**ლიტერატურა:**

1. В.П. Посохин; Р.Г. Сафиулин – Увлажнители воздуха на основе вращающегося распилиателя.
2. А.Г.Центерадзе; З. М. Андгуладзе; Н.В. Чеишвили- Воздухоувлажнитель- Бюлетень №34 ВНИИЧП 1982 г.
3. Е.П. Вишнеvский- Кондиционирование воздуха-увлажнитель; С.О.К. -2003 №1

**ROTARY SPRAYING HUMIDIFICATION AND AIR HUMIDIFIER OF SIMPLE CONSTRUCTION**

**Andguladze Z., Dolidze B., Jakeli E., Nikolashvili L.**

Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry of Georgia Agrarian University

**Summary**

There are many such manufacturing processes in various fields of agriculture and industry which need to create microclimate, that means creation and maintenance of air humidity at a certain level. Equipments and systems of local and stationaty humidification are widely used in tea, tobacco, leather, silk other enterprises as well as in greenhouses.

Practice has shown that spraying humidifiers are characterized with considerable advantages. They are made by different working principle and construction. Analyse of their practical usage confirms that most of them have serious disadvantages according to the index dispersity level.

The airhumidifier worked out bu us has high level of monodispersity, differs with simple construction sa-





fety in work. it works as manually so in an automatic regime. because of its technical indices airconditioner has wide area of usage.

**შრობის პროცესის სტატიკური რეჟიმის მათემატიკური მოდელი**

**ბარდაველიძე ა., ბარდაველიძე ხ.\***

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

\*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნაშრომში წარმოდგენილია შრობის პროცესის სტატიკური რეჟიმის მათემატიკური აღწერა გვირაბული საშრობის მაგალითზე. ანალიზის საფუძველზე, გამოსაშრობი მასალის, შრობის აგენტის ტემპერატურის და ტენშემცველობის დამყარებული განაწილება აღწერილია ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემით. ვანუსახდურელი კოეფიციენტები შეფასებულია იდენტიფიკაციის შედეგად და დაიყვანება ხარისხის შეფასების კრიტერიუმის მინიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტაზე. ანგარიშის შედეგად განსახდურულია კურკიანი გარგარის ჩირის შრობის პროცესის თბოცვლის კოეფიციენტები. მოდელის შეცდომის შეფასება მოცემულია იდენტიფიკაციის საანგარიშო და ექსპერიმენტული მრუდებით. ანგარიში ჩატარებულია MatLab პროგრამის გამოყენებით.

შრობის პროცესის სტატიკური რეჟიმის მათემატიკური აღწერა განვიხილოთ გვირაბული საშრობის მაგალითზე. გვირაბული საშრობის ხსენებული სტაციონალური რეჟიმი ხასიათდება მასალის და შრობის აგენტის პარამეტრების დამყარებული განაწილებით, საშრობ კამერაში მათი გადაადგილების ტრაექტორიის გასწვრივ. საშრობის შესასვლელზე დაუშუშავებელ მასალიანი ვაგონეტის მისვლისას ეს რეჟიმი შეშფოთდება, თუმცა ეს შეშფოთება შედარებით მცირეა, სისტემის ინერციულობის გამო. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში ამოცანას წარმოადგენს სივრცითი განტოლების დროითი გასაშუალების აღწერა და არა მათი პერიოდული შეშფოთება [1].

ამ დროს საწყისი, შემოთავაზებული გამოსაშრობი მასალისა და შრობის აგენტის ტემპერატურისა და ტენშემცველობის დამყარებული განაწილება შეიძლება აღიწეროს, როგორც შემდეგი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემის ამონახსნი:

$$g \frac{dw}{dl} = -\phi_1 N(w, T_M, y, T_a), \quad g_a \frac{dy}{dl} = \phi_1 N(w, T_M, y, T_a),$$

$$g C_m \frac{dT}{dl} = K \phi_2 (T_a - T_M) - \Delta H \phi_1 N(w, T_M, y, T_a), \quad g_a C_a \frac{dT_a}{dl} = K \phi_2 (T_M - T_a),$$

საწყისი პირობებით:

$$w(0) = w_0, \quad y(0) = y_0, \quad T_M(0) = T_{M0}, \quad T_a(0) = T_{a0},$$

სადაც  $l$  - საშრობი კამერის წრფივი კოორდინატაა – მანძილი საშრობი კამერის შესასვლელიდან მიმდინარე წერტილამდე, მ;

$w, y$  - შესაბამისად მასალისა და შრობის აგენტის საშუალო (დროით) ტენშემცველობაა, რომელიც განიხილება როგორც  $l$  კოორდინატის ფუნქცია, %;

$T_M, T_a$  - შესაბამისად, მასალისა და შრობის აგენტის საშუალო ტემპერატურაა წერტილში,  $l$  კოორდინატით,  $^{\circ}C$ ;

$g$  - საშრობ კამერაში მასალის გადაადგილების საშუალო მასური სიჩქარეა (გადაანგარიშებული მშრალ მასალაზე), მ/წმ;

$g_a$  - ერთეული მასის ჰაერის გადაადგილების საშუალო სიჩქარეა, რომელიც გადაანგარიშებულია აბსოლუტურად მშრალ ჰაერზე, მ/წმ;





$C_m = C_l + wC_{H_2O}$  - სველი მასალის თბოტევადობაა, ( $C_x, C_{H_2O}$  - შესაბამისად, მშრალი ნივთიერებისა და წყლის თბოტევადობაა, კჯ/კგ $\cdot^{\circ}$

$C_a = C_{air} + wC'_{H_2O}$  - ტენიანი ჰაერის თბოტევადობაა, ( $C_{air}$  და  $C_{H_2O}$  - შესაბამისად, მშრალი ნივთიერების და წყლიანი ორთქლის თბოტევადობაა) ტენიანი ჰაერის თბოტევადობაა;

$\varphi_1$  - ფაზათა გაყოფის, ტენცვლის მშრალი ნივთიერების ერთეულ მასაზე მოსული ზედაპირის ფართობია, მასალასა და შრობის აგენტს შორის, მ<sup>2</sup>/კგ;

$\varphi_2$  - მშრალი მასალის ერთეულ მასაზე მოსული თბოგადაცემის ზედაპირის ფართობია მასალასა და შრობის აგენტს შორის, მ<sup>2</sup>/კგ;

$K$  - თბოგადაცემის კოეფიციენტი მასალასა და შრობის აგენტს შორის, კვტ მ $\cdot^{\circ}$

$\Delta H$  - წყლის აორთქლების კუთრი სითბოა, კჯ/კგ;

ვთქვათ  $G$  - საშუალოდ ერთ ვაგონენტზე (მშრალ ნივთიერებაზე გადა-ანგარიშებული) მოსული მასალის მასაა, მაშინ  $g = G/\tau_{ST}$  და  $\varphi_{0,1} = F_{0,1}/G$ , სადაც  $F_0, F_1$  - შესაბამისად, ფაზის გაყოფის და სითბოგაცვლის ზედაპირის ფართობია, რომლებიც შეიქმნებიან ერთ ვაგონენტზე, მათი დატვირთვის მიღებული ტექნოლოგიისას.

(1) შემავალი  $N(w, T_M, y, T_a)$  არაწრფივი ფუნქცია აღწერს კონვექციური შრობის სიჩქარის დამოკიდებულებას პროცესის ცვლად მდგომარეობასთან:

$$N(w, T_M, y, T_a) = \begin{cases} K_1(P_{aQ}(T_M) - \varphi P_{aQ}(T_a)), & w > w_{CR}, \\ K_2(w - w_{EQ}(\varphi)), & w < w_{CR}, \end{cases}$$

სადაც  $P_{aQ}$  - გაჯერებული ორთქლის წნევაა,  $K_1, K_2, w_{CR}$  - შესაბამისად, შრობის კოეფიციენტებია პირველ და მეორე პერიოდში და კრიტიკული ტენშემცველობაა, ხოლო  $\varphi$  - შრობის აგენტის ფარდობითი ტენიანობაა:

$$\varphi = \frac{y}{0,621 + y} \frac{P}{P_{aq}(T_a)} \quad (4)$$

ბოლო ფორმულის მნიშვნელში კოეფიციენტი არ არის წყლიანი ორთქლის მოლეკულური წონის მშრალი შრობის აგენტის მოლეკულურ წონასთან ფარდობა (0,621 სველი ჰაერისათვის).

(1)-ის განუსაზღვრელ კოეფიციენტებს, რომლებიც უნდა იყვნენ შეფასებული იდენტიფიკაციის შედეგად, წარმოადგენენ [2, 3]:

- $\varphi_1$  - მასალისა და შრობის აგენტს შორის ტენგაცვლის ზედაპირის ფართობია, რომელიც მოდის საშრობი კამერის 1 გრძივ მეტრზე გ $\cdot$ მ), მ<sup>2</sup>/ გ $\cdot$ მ; თუ ვაგონეტა დატვირთვის მიღებული ტექნოლოგიისას, შეიქმნება ტენგაცვლის  $F_1$  ზედაპირი და საშრობი კამერაში ერთდრო-ულად მყოფ ვაგონენტთა  $M$  რაოდენობა, ხოლო საშრობი კამერის სიგრძე  $\ell$ , მაშინ  $\varphi_1 = MF_1 / \ell$  ;
- $\varphi_2$  - თბოგაცვლის ზედაპირის ფართობია მასალასა და შრობის აგენტს შორის, რომელიც მოდის საშრობი კამერის გ $\cdot$ მ-ზე, მ<sup>2</sup>/ გ $\cdot$ მ);

- (3) კონვექციური შრობის სიჩქარის განტოლების  $K_1, K_2$  და  $w_{CR}$  კოეფიციენტები,
  - თბოგადაცემის კოეფიციენტი მასალასა და საშრობ აგენტს შორის  $K$ , კვტ მ $\cdot^{\circ}$  .
- სისტემის დანარჩენი კოეფიციენტები მარტივად განისაზღვრება ანგარიშით ან ცხრილური მონაცემებით. მაგალითად, თუ ერთ ვაგონენტზე დატვირთული გამოსაშრობი მასა-



ლის მასა შეადგენს (მშრალ მასალაზე გადაანგარიშებული)  $G$ , კგ; ხოლო ვაგონენტო დატვირთვა გადმოტვირთვის პერიოდია  $\tau_0$ , მაშინ  $g = G/\tau_0$ .

ჩამოთვლილი კოეფიციენტები (1) სისტემაში შედიან როგორც ნამრავლი  $K_1\varphi_1, K_2\varphi_1, K\varphi_2$  და (3)-ის შესაბამისად

$$w_{CR} = w_{EQ}(\varphi) + \frac{K_1}{K_2}(P_{aQ}(T_M) - \varphi P_{aQ}(T_a)), \quad (5)$$

ე.ი. კრიტიკული ტენშემცველობა, მრავალ თანაბარ პირობებში დამოკიდებულია მხოლოდ  $K_1/K_2$  თანაფარდობაზე. ამიტომ მიზანს წარმოადგენს მხოლოდ სამი უცნობი პარამეტრის  $K_1\varphi_1, K_2\varphi_1$  და  $K\varphi_2$  შეფასება.

პროცესის მათემატიკური მოდელის პარამეტრების შეფასება გვირახული საშრობისათვის განხილულია МНИИПП-1 ტიპის აპარატზე, რომლის ტექნიკური მონაცემები მოცემულია ცხრილში 1, [4].

ექსპერიმენტალური მონაცემების დამუშავების ალგორითმი (OFF-LINE რეჟიმში), (1)-ის განუსაზღვრელი პარამეტრების შეფასების ამოცანის გადაწყვეტა, დაიყვანება ხარისხის შეფასების კრიტერიუმის მინიმიზაციის ამოცანის ამოხსნაზე:

$$\Phi(\mathbf{a}) = \sum_j [p_j(w_j(1) - \hat{w}_j)^2 + q_j(y_j(1) - \hat{y}_j)^2 + r_j(T_{aj}(1) - \hat{T}_{aj})^2] \rightarrow \min, \quad (6)$$

სადაც  $\mathbf{a} = (K_1\varphi_1, K_2\varphi_1, K\varphi_2)$  - განუსაზღვრელ პარამეტრთა ვექტორია,  $j$ - ექსპერიმენტის ნომერია,  $w_j(1), y_j(1), T_{aj}(1)$  - მასალის და შრობის აგენტის ტენშემცველობის და ტემპერატურის საანგარიშო მნიშვნელობებია საშრობი კამერის გამოსასვლელზე, რომელიც მიღებულია (1) განტოლებათა სისტემის ამოხსნის შედეგად,  $\hat{w}_j, \hat{y}_j, \hat{T}_{aj}$  - მასალასა და საშრობი აგენტის ტენშემცველობის და ტემპერატურის ექსპერიმენტალური მონაცემებია საშრობი კამერის გამოსასვლელზე.  $p_j, q_j, r_j$  - მოცემული არაუარყოფითი წონითი კოეფიციენტებია. ასეთი სახით მიღებული შეფასება წარმოდგენილია ცხრილში 2.

ცხრილი 1

МНИИПП-1 ტიპის ბვირაბული საშრობის ტექნიკური დახასიათება

ტექნიკური მახასიათებლები	მნიშვნელობები
აორთქლების ტენის მწარმოებლობა, კგ/სთ	მდე
შეუვსებელი არხის კვეთი, მ <sup>2</sup>	
ცოცხალი კვეთი, მ <sup>2</sup>	
ვაგონენტო რაოდენობა, ცალი	
ზოგადი ნომინალური საშრობი ზედაპირი, მ <sup>2</sup>	
ღერძული ვენტილატორის მწარმოებლობა, მ <sup>3</sup> /სთ	

ცხრილი 2


ბვირაბული საშრობის მათემატიკური მოდელის კოეფიციენტები კურკიანი ბარბარის ჩირის შრობისას

კოეფიციენტები	მნიშვნელობები
შრობის კოეფიციენტი პირველ პერიოდში, $K_1\varphi_1$ კგ მ · წმ ·	$0,8553 \cdot 10^{-4}$
შრობის კოეფიციენტი მეორე პერიოდში, $K_2\varphi_1$ კგ მ · წმ ·	$0,3023 \cdot 10^{-4}$
თბოცვლის კოეფიციენტი $K\varphi_2$ კვტ მ ·	0,0451


მოდელის შეცდომის სიდიდეზე (7,2%-მდე), კოეფიციენტების შესაბამისი ცხრილური მონაცემებით შეიძლება ვიმსჯელოთ ნახ. 1 ა,ბ-ზე მოცემული მრუდებით, რომლებზეც



მოცემულია იდენტიფიკაციის საანგარიშო და ექსპერიმენტალური მონაცემები.



ნახ. 1ა კურკიანი გარგარის ჩირის ნარჩენი ტენშემცველობის დამოკიდებულება ნამუშევარი შრობის აგენტის ფარდობით ტენიანობაზე:  
— მოდელი, ○ ექსპერიმენტი



ნახ. 1ბ ნამუშევარი შრობის აგენტის ფარდობითი ტენიანობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე კურკიანი გარგარის ჩირის შრობისას:  
— მოდელი, ○ ექსპერიმენტი

#### ლიტერატურა

1. Красников В.В. Кондуктивная сушка. – Москва: Энергия, 1983.- с.288
2. Эйкхофф П.Р. Современные методы идентификации систем. – Москва: Мир, 1983.- с.400
3. Сильвестров А.Н., Чинаев П.И. Идентификация и оптимизация автоматических систем. – Москва: Энергоатомиздат, 1987. - с.200
4. Мэтьюз Дж.Г., Финк К.Д. „Численные методы. Использование MATLAB“. Диалектика, 2001. - с.720

#### MATHEMATICAL MODEL OF STATIC REGIME FOR DRYING APPARATUS

**Bardavelidze A., Bardavelidze Kh\***

Akaki Tsereteli State University, \*Georgian Technical University  
Summary

In the work presented mathematical description of static regime drying process by example of tunnel dryer. Bases on analyze temperature of drying material, drying agent and also established distribution of moisture are described by system of ordinary differential equations. Uncertain coefficients are estimated by result identification and it comes to the task solution of minimization quality evaluating criteria. By calculating of results are determined heat exchange coefficients of drying process for dried apricots. Estimating error of model is given by identification experimental and calculating curves. Calculation is worked out by using of Matlab program.



## საშრობი აპარატის სტატიკური რეჟიმის მრავალკრიტიკული ოპტიმალური მართვის ალგორითმი

ბარდაველიძე ა., ბარდაველიძე ს.\*

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

\*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნაშრომში წარმოდგენილია გვირაბული საშრობი აპარატის თავისებურებანი, დასმულია შრობის სტატიკური რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანა. პროცესის აღმწერი განტოლება ჩაწერილია ვექტორულ-მატრიცული ფორმით. შრობის პროცესის ოპტიმალური მართვისათვის განხილულია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მართვის ხარისხის მაჩვენებელი: კუთრი ენერგოდანახარჯების მინიმალური სიდიდე და საშრობის მაქსიმალური მწარმოებლობა. აღნიშნული ორი მოთხოვნის კომპრომისის მიღწევის მიზნით ნაპოვნი ამოცანის პარეტო-ოპტიმალური ამონახსნი. ოპტიმიზაციის ამოცანის ამოხსნის შედეგები კურკიანი გარგარის ხირის შრობისას მოცემულია ცხრილში. ანგარიში ჩატარებული იქნა MatLab პროგრამის გამოყენებით.

ოპტიმალური სტატიკური რეჟიმის ამოცანების ძიებასთან საერთო მიდგომის მეთოდოლოგია ილუსტრირებული იქნება გვირაბულ საშრობში შრობის პროცესის ოპტიმიზაციის მაგალითზე. ვინაიდან ობიექტი განაწილებულ პარამეტრებიანია, საწყის მათემატიკურ მოდელად გამოყენებულია არა-წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა, კოშის ნორმალურ ფორმაში, რომელიც აღწერს საშრობში ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრების განაწილებას [1].

ფორმალურად გვირაბულ საშრობში შრობის სტატიკური რეჟიმის ოპტიმიზაციის ამოცანა დაისმება შემდეგი სახით:

მოცემული გვაქვს სამი შემავალი (მმართველი) ცვლადი, კერძოდ:

1. საშრობ კამერაში მასალის დაყოვნების დრო  $u_1 = \tau_\ell$ ,
2. გახურებული ჰაერის ტემპერატურა სათბობი კამერის შესასვლელზე  $u_2 = T_a(0)$ ,
3. საშრობ კამერაში შესაწოვი სუფთა ჰაერის წილი  $u_3 = \beta$ .

მასალისა და ჰაერის პარამეტრები საშრობი კამერის გამოსასვლელზე შეიძლება განსაზღვრული იყვნენ, როგორც  $\mathbf{y}(1)$  მდგომარეობის ვექტორის კომპონენტების საბოლოო მნიშვნელობა, გვირაბულ საშრობში შრობის პროცესის აღმწერი

$$\begin{aligned} \frac{dy_1}{d\ell} &= \frac{K_p}{\tau_a} = f_1(y, u), & y_1(0) &= p_0, \\ \frac{dy_2}{d\ell} &= -N(y) = f_2(y, u), & y_2(0) &= w_0, \\ \frac{dy_3}{d\ell} &= \frac{\alpha F(y_5 - y_3) - H_{vap} N(y)}{C_x} = f_3(y, u), & y_2(0) &= T_{x0}, \\ \frac{dy_4}{d\ell} &= \frac{K_a \tau_x}{\tau_a} N(y) = f_4(y, u), & y_2(0) &= y_{a0}, \\ \frac{dy_5}{d\ell} &= \frac{\alpha F(y_3 - y_5)}{C_a} = f_5(y, u), & y_2(0) &= T_{a0}, \end{aligned}$$

დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამოხსნით, რომელიც ვექტორულ-მატრიცული აღნიშვნებით, უფრო მოკლედ ჩაიწერება ასე:

$$\mathbf{y}' = \mathbf{f}(\mathbf{y}, \mathbf{u}), \quad \mathbf{y}(0) = \mathbf{y}_0,$$

სადაც  $0 \leq \ell \leq 1$  - საშრობი კამერის არხის გასწვრივ გეომეტრიული კოორდინატა,



$y_1(\ell)$  - წნევა არხში,  $y_2(\ell)$  - სველი მასალის ტენშემცველობა  $\ell$  წერტილში,  $y_3(\ell)$  - მასალის ტემპერატურა  $\ell$  წერტილში,  $y_4(\ell)$  - ჰაერის ტენშემცველობა  $\ell$  წერტილში,  $y_5(\ell)$  - ჰაერის ტემპერატურა  $\ell$  წერტილში,  $N(y)$  - შრობის სიჩქარე,  $p_0, w_0, T_{\ell 0}, y_{a0}, T_{a0}$  - მასალის (ტენშემცველობა და ტემპერატურა) და ჰაერის (წნევა, ტენშემცველობა და ტემპერატურა) მდგომარეობა საშრობი კამერის გამოსასვლელზე.

ვინაიდან საშრობის გამოსასვლელიდან სველი ჰაერი ბრუნდება მის შესასვლელზე, ტენშემცველობა შესასვლელზე დამოკიდებულია გამოსასვლელზე ტენშემცველობისა:

$$y_4(0) = \beta y_{env} + (1 - \beta)y_4(1), \quad (3)$$

სადაც  $\beta$  - შეწოვილი გარე ჰაერის წილია,  $y_{env}$  - გარემოს ჰაერის ტენშემცველობა. ამიტომ, ობიექტის რეაქციის განსაზღვრისათვის,  $\mathbf{u} = (u_1, u_2, u_3)$  შემაჯავალი ცვლადების ცვლილებებისას, აუცილებელია ერთდროულად ამოვხსნათ (2) და (3). ე.ი. გვირახული საშრობის სტატიკური მახასიათებლის თითოეული წერტილთა ანგარიში, შემოთავაზებული (2) მათემატიკური მოდელის დახმარებით დაიყვანება (3) არაწრფივი ალგებრული განტოლების ამოხსნაზე, რომლის მარჯვენა მხარე მოცემულია არაცხადად, როგორც (2) სისტემის ამოხსნა [2].

შრობის პროცესი ხასიათდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მართვის ხარისხის მაჩვენებლებით:

1. კუთრი ენერგოდანახარჯების სიდიდით ერთეული სველი მასალის გამოშრობაზე  $J_1(\mathbf{u})$ ,
2. საშრობის მწარმოებლობით  $J_2(\mathbf{u})$ .

ვინაიდან შრომა ხორციელდება საშრობი მასალის ტენშემცველობის მოცემულ (შესაძლებელია – საშრობი მასალის სახეზე დამოკიდებული) სიდიდემდე დაყვანის მიზნით, ზემოთ მოცემული ორი კრიტერიუმიდან ნებისმიერისათვის დამატებით უნდა შესრულდეს პირობა:

$$y_4(1) = \bar{w}_F$$

მიღებული საერთო მიდგომის შესაბამისად, ზემოთ ნაჩვენებ ორ მოთხოვნას შორის კომპრომისის მიღწევის მიზნით, შემოთავაზებულია ვეძებოთ ამოცანის პარეტო-ოპტიმალური ამონახსნი. ამ მიზნით შემოგვაქვს  $J_1(\mathbf{u})$  და  $J_2(\mathbf{u})$  კრიტერიუმების წრფივი ნაკეცი და განიხილება ახალი კრიტერიუმის მინიმალური მნიშვნელობის ნაკეცის პარამეტრზე დამოკიდებულება. მოცემულ შემთხვევაში ნაკეცი ჩაიწერება, როგორც

$$J(\boldsymbol{\mu}, \mathbf{u}) = \mu \tau_\ell + (1 - \mu) \left[ \frac{\tau_\ell}{\tau_a} (1 - \beta)(y_4(0) - T_{env}) + \beta(1 + K_{cp} y_5(1))(y_4(0) - y_4(1)) \right]$$

სადაც  $0 \leq \mu \leq 1$  - ნაკეცის პარამეტრია,  $T_{env}$  - გარემოს ტემპერატურა,  $K_{cp}$  - ჰაერის თბოტევადობის და წყლიანი ორთქლის თანაფარდობა, ხოლო დანარჩენი აღნიშვნები განსაზღვრულია ზემოთ.

ამოცანის გადაწყვეტისათვის აუცილებელია ამოვხსნათ (5)-ის მინიმუმის ამოცანა (4) პირობისას და  $0 \leq \mu \leq 1$  ზღვრებში გამოვიკვლიოთ დამოკიდებულება:

$$J_{\min}(\boldsymbol{\mu}) = \min_{\mathbf{u}} J(\boldsymbol{\mu}, \mathbf{u}).$$

ამონახსნზე, კანდიდატობის წერტილები იქნებიან (6) დამოკიდებულების ექსტრემუმის





წერტილები. ნახ.1-ზე წარმოდგენილია (6) ფუნქციის გრაფიკი. (6) კრიტერიუმს  $[0,1]$  ინტერვალში აქვს ორი ექსტრემუმი – მინიმუმი, როცა  $\mu = 0,307$  და მაქსიმუმი, როცა  $\mu = 0,308$ . იმ ფაქტორის დამატებითი შემოწმება, რომ წერტილი  $\mu_{0,308}$  წარმოადგენდეს


$$J(0,308, \mathbf{u}) \rightarrow \min_{\mathbf{u}}$$

ამოცანის ამონახსნს (4) პირობისას, ასევე წარმოადგენს პარეტო-ოპტიმალურ ამონახსნს, რომლის შემოწმებისათვის არ არის საჭირო

$$J_1(\mathbf{u}_{0,308} + \delta \mathbf{u}) \leq J_1(\mathbf{u}_{0,308}),$$

$$J_2(\mathbf{u}_{0,308} + \delta \mathbf{u}) \leq J_2(\mathbf{u}_{0,308}),$$

არაწრფივ უტოლობათა სისტემის ამოხსნა შედარებით მცირე (ნორმით)  $\delta \mathbf{u}$ -თვის და პარეტო-ოპტიმალური ამოცანის ამოხსნა უშუალოდ ხორციელდება მონტე-კარლოს მეთოდით [3, 4]. ასეთი სახით მიღებული გვირახული საშრობის ოპტიმიზაციის ამოცანის ამოხსნის შედეგები კურკიანი გარგარის ჩირის შრობისას მოცემულია ცხრილში 1.



ნახ. 1 ნაკეცის კრიტერიუმის მინიმალური მნიშვნელობის დამოკიდებულება  $\mu$  პარამეტრზე გვირახულ საშრობში კურკიანი გარგარის შრობისას

ცხრილი 1

კურკიანი ბარბარის ჩირის შრობისას გვირახული საშრობის ოპტიმიზაციის შედეგები

ცვლადთა დასახელება	$\mathbf{u}_{0,308}$ წერტილი	$J_1(\mathbf{u})$ მინიმუმის წერტილი	$J_2(\mathbf{u})$ მაქსიმუმის წერტილი
საშრობის მწარმოებლობა ნომინალური წილიდან, კგ/სთ	1,305	1,21	1,478
ჰაერის ტემპერატურა საშრობის შესასვლელზე, $^{\circ}C$	381,306	361,751	445,367
სუფთა ჰაერის წილი $\beta$	0,34	0,709	0,399



უშუალოდ ცხრილიდან ჩანს მიღებული ამონახსნის აზრი, რომელიც აღნიშნავს კომპრომისს ორ მოთხოვნას შორის:

1.  $J_1$  ენერგოდანახარჯების მინიმიზაცია, რომელიც კმაყოფილდება საშრობის შესასვლელზე ჰაერის შედარებით დაბალი ტემპერატურით, შედარებით დაბალი წარმოებლობისას,

2.  $J_2$  მწარმოებლობის მაქსიმიზაცია, რომელიც მიიღწევა ენერგოდანახარჯების ზრდის ხარჯზე, შემავალი ჰაერის შედარებით მაღალი ტემპერატურისას.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ აქ განხილული მრავალკრიტერიული ოპტიმიზაციის რეალიზაცია აღმოჩნდა უმნიშვნელო ტრივიალური ამოცანა, რომლის მთავრი პრობლემა ატარებდა არა პრინციპიალურ, არამედ სუფთა ტექნიკურ ხასიათს.

#### ლიტერატურა

1. Бардавелидзе А.Ш. Применение принципа максимума Л.С.Понтрягина в задаче оптимизации процесса сушки ошлихтованных основ. Известия ВУЗов. Технология текстильной промышленности, №4. – Иваново, 1986. - с.75-79.
2. Моисеев Н.Н. Элементы теории оптимальных систем. - Москва: Наука, 1985. - с.528
3. Подиновский В.В., Ногин В.Д. Парето - оптимальные решения многокритериальных задач. – Москва: Наука, 1982.- с.254
4. Мэтьюз Дж.Г., Финк К.Д. „Численные методы. Использование MATLAB“. Диалектика, 2001. - с.720

#### MULTI-CRITERIA OPTIMAL CONTROL ALGORITHM OF DRYING APPARATUS STATIC REGIME

**Bardavelidze A., Bardavelidze Kh\*.**

Akaki Tsereteli State University, \*Georgian Technical University

#### Summary

In the work is presented the features of tunnel drying apparatus, set optimization task of drying static regime. Describing equation of process is recorded by the vector - matrix form. For optimal controlling of drying process is discussed two conflicting control quality indicator: the minimum value of the specific heat waste and maximum efficiency of the dryer. For the purpose achieving a compromise of two mentioned demands founded the solution of Pareto-optimal task. Solution results of optimization task during the drying of dried apricots is given in table 1. Calculation is worked out by using the Matlab program.

#### РАЗРАБОТКА СПОСОБОВ ОЧИСТКИ ПЛОДОВ ТЫКВЫ И АППАРАТУРНОГО ОФОРМЛЕНИЯ ДЛЯ ЕГО РЕАЛИЗАЦИИ

**Горелков Д. В., Дмитриевский Д. В., Шевченко И. В.**

Харьковский государственный университет питания и торговли

*В статье проведен анализ актуальных вопросов переработки плодов тыквы, приведена конструкция и описание работы аппарата для очистки тыквы от семян и наружного покрова, в основу работы которого положен комбинированный способ очистки.*

Тыква, благодаря своей способности храниться длительное время без обеспечения особых условий, является для перерабатывающих цехов овощеперерабатывающей промышленности ценным сырьем, которое сможет разгрузить пиковые сезонные нагрузки, которые характерны для данных типов предприятий.

Из тыквы производят различные виды кулинарной продукции: каши, супы-пюре, ее парят, жарят в сметане или в растительном масле, а также используют как основу для производства ряда



соусов. Из семян тыквы производят тыквенное масло, которое используется в лечебном питании при заболевании печени, почек и сердца, предстательной железы. Клетчатка тыквы хорошо разваривается, не волокнистая и в пюреобразном виде легко усваивается при катарах желудка с повышенной кислотностью и даже при язвенной болезни. В последнее время тыква получила широкое применение в кондитерской, консервной и фармацевтической промышленности. В консервной промышленности он используется для производства варенья, повидла, пасты, фарша, маринадов, соков.

